F/H
1948
F

უფასო
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წელიწადი მეთერთმეტე

№ 2—3 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1948 წ.

## შინაარსი

1. ბრძანება № 3021, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის სკოლამდელი განყოფილების მუშაობის შესახებ 2 გვ.
2. ბრძანება № 3029, საბავშვო სახლებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 5
3. ბრძანება № 183, უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ . . 8
4. ბრძანება № 3002, სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 22
5. ბრძანება № 3065, რუსული ენის კურსების შესახებ . . . . . . . . 27
6. მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში . . . . . . . . 31
7. მეთოდური მითითებანი საკონტროლო წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ არითმეტიკაში I—IV კლასებში . . 37
8. მეთოდური მითითებანი საკონტროლო წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ მათემატიკაში V—XI კლასებში . . . . 40
9. პედაგოგიური სასწავლებლის წესდება . . . . . . . . . . . . . 46
10. დებულება პედაგოგიური სასწავლებლის კურსის ხელმძღვანელის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 62
11. Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР и Президиума ЦК союза работников начальных и средних школ Грузии, 11 февраля 1948 года . . . 65

F1D54

თბილისი — 1948

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 3021

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

**1947 წლის 20 დეკემბერი**

## საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის სკოლამდელი განყოფილების მუშაობის შესახებ.

განეცანი რა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის სკოლამდელი განყოფილების მუშაობის შესწავლის შედეგებს,

ა ღ ვ ნ ი შ ნ ა ვ:

ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის მიერ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის გამოცემულია წინა წლებში დამზადებული 12 სახელწოდების წიგნი, რომლებიც, როგორც თემატიკური, ისე მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით სავსებით შეეფერება სკოლამდელი ასაკის ბავშვის თავისებურებასა და განვითარებას; — ასეთებია: ი. სიხარულიძის საბავშვო ლექსების კრებული „თვალქუჟუნა ქუჟუნა“, ცქვიტის „მოთხრობები“, გრიგოლ აბაშიძის „ფისუნიას გასეირნება თვითმფრინავით“, კ. გოგიაშვილის ლექსების კრებული „გაზაფხული“; თარგმნილი ლიტერატურიდან: პეროს „წითელქუდა“, ლევ ტოლსტოის „ბავშვებისათვის“, ალ. პუშკინის, „მებადური და ოქროს თევზი“, და ძმები გრიმების „ზღაპრები“.

უახლოეს დროში გამოიცემა სკოლამდელთათვის 5 სახელწოდების წიგნი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის სკოლამდელი აღზრდის განყოფილების მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი:

1. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის 1947 წლის საგამომცემლო გეგმაში არ არის გამოყოფილი სკოლამდელი აღზრდის განყოფილების საგამომცემლო გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის საერთო-საგამომცემლო გეგმაში მთელი წლისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ 6 სახელწოდების წიგნის გამოცემა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. რაც შეეხება 1948 წლის საგამომცემლო გეგმის პროექტს, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის შესაფერისი გამოსაცემი ლიტერატურის რაოდენობა ძალიან მცირეა.

2. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მცირე რაოდენობით იცემა ლიტერატურა. ასე მაგ. 1946—47 წლებში სულ 12-დე წიგნია გამოცემული სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

3. სრულიად არ იბეჭდება უმცროსი (3—4—5) სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ისეთი ლიტერატურა, როგორიცაა წიგნი—სურათი, წიგნი—შირმა, წიგნი—სათამაშო და სხვა სახელწოდების პატარა მოცულობის საბავშვო წიგნები, მსუბუქი სიუჟეტით და მკაფიო და მკვეთრი სახეებით.

4. გამოცემულ საბავშვო ლიტერატურიდან სჭარბობს ლექსები და პოემები, რაც შეეხება სხვა ჟანრის ლიტერატურას, როგორიცაა: ზღაპრები და მოთხრობები, ძალიან მცირე რაოდენობით იბეჭდება.

5. არასაკმარისად იცემა სკოლამდელთათვის ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებნი, სადაც ბავშვები დაინახავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სინამდვილესა და აგრეთვე ადამიანის ისეთ საუკეთესო თვისებებს, როგორიცაა: მამაცობა, გამბედაობა, თავდადება, სიმართლე, სიმტკიცე, მეგობრობა და სამშობლო მხარისადმი სიყვარული.

6. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოცემული ლიტერატურის დიდი უმრავლესობა მხატვრული გაფორმების მხრივ ვერ აკმაყოფილებს სკოლამდელ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის მოთხოვნილებას, მათი უმრავლესობა ერთს, შავ ფერშია გაკეთებული. ზოგჯერ არეულია ერთმანეთში ფერები, დამახინჯებულია სურათები და სხვა.

7. 1946 წელს გამოცემული ზოგიერთი საბავშვო წიგნის ხარისხი ტექნიკურადაც არ არის დაკმაყოფილებული. ცუდია ქაღალდი შრიფტი, მიუღებელია ფორმატი და სხვა.

8. არ არიან მიზიდული სკოლამდელი განყოფილების მუშაობაში პედაგოგები, ფსიქოლოგები, მეცნიერული მუშაკები და საბავშვო მხატვრები.

ზემოაღნიშნულისა გამო, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობას დააზუსტოს 1948 წლის საგამომცემლო გეგმის პრო-

ექტი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის გამოსაცემი ლიტერატურის რაოდენობის გადიდებით და მათ ავტორებად გაითვალისწინონ ცნობილი საბავშო მწერლები და პედაგოგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სკოლამდელთათვის ისეთი ლიტერატურის შექმნა-გამოცემას, რომელთა საშუალებით აღიზრდება ბავშვები საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებით: მამაცობა, გამბედაობა, თავდადება, სიმართლე, სიმტკიცე, მეგობრობა და სამშობლოსადმი სიყვარული.

3. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ლიტერატურა გამოცემულ იქნას მკაფიო, სასიამოვნო და მიმზიდველ ფერებში.

4. გაუმჯობესებულ იქნას საბავშვო წიგნების ხარისხი ტექნიკური შესრულების მხრივ: წიგნები სკოლამდელთათვის დაბეჭდილ იქნას თეთრ ქაღალდზე, შესაფერი შრიფტით, ფორმატით და სხვა.

5. მიღებულ იქნას მხედველობაში უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ისეთი ლიტერატურის შექმნა და გამოცემა, როგორიცაა: წიგნი—სურათი, წიგნი—შირმა და სხვა პატარა მოცულობის საბავშვო წიგნები.

6. სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის იდეური, პედაგოგიური და მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილი ლიტერატურის შესაქმნელად, მიზიდულ იქნან სკოლამდელი განყოფილების მუშაობაში საბავშვო მწერლები, მხატვრები, პედაგოგები, ფსიქოლოგები და მეცნიერული მუშაკები.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე**
**გ. ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 3039

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

**1947 წლის 22 დეკემბერი**

## საბავშვო სახლებში შრომითი სწავლების მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

გავეცანი რა შრომითი სწავლების დაყენებას საბავშვო სახლებში აღვნიშნავ, რომ ამ დარგში საბავშვო სახლებს აქვს ზოგიერთი მიღწევა. შრომითი სწავლების ასაკის აღსაზრდელები ჩაბმული არიან პროფსწავლების სახელოსნოებში. მოსწავლეები დაყოფილი არიან სასწავლო ჯგუფებად, თითოეული ჯგუფისათვის შედგენილია სამეცადინო მტკიცე ცხრილი. საბავშვო სახლებს აქვთ შრომითი სწავლების პროგრამები და საინსტრუქციო მითითებანი. სახელოსნოები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სამეცადინო ოთახებითა და საჭირო მოწყობილებით.

კოჯრის ცენტრალური საზეინკლო სახელოსნო უზრუნველყოფილია აგრეთვე საწარმოო იარაღებითა და ინსტრუმენტებით (გარდა მექანიზებული დაზგებისა) და დასამუშავებელი მასალით.

სამკერვალო სახელოსნოები დახმარებას უწევენ საბავშვო სახლებს რბილი ინვენტარის გადაკეთება-შეკეთებაში.

მიუხედავად ამისა, შრომითი სწავლების საქმე საბავშვო სახლებში ჯერ კიდევ ვერ დგას მოთხოვნილების სიმაღლეზე და მას მრავალი არსებითი ხასიათის ნაკლი ახასიათებს, რომელთაგან მთავარია:

1. შრომითი სწავლების სახელოსნოები, გარდა კოჯრის საზეინკლო სახელოსნოსა, არ არიან უზრუნველყოფილი საწარმოო იარაღებითა და ინსტრუმენტებით, აგრეთვე დასამუშავებელი მასალით.

2. სამკერვალო სახელოსნოების შესაძლებლობანი ზოგიერთი ნივთების (ზეწრები, ბალიშის პირები, პირსახოცები, საზაფხულო ტანისამოსი, წინსაფრები და სხვა საოჯახო ნივთები) შეკერვაში დღემდის არ არის გამოყენებული ქსოვილის უქონლობის გამო, აღსაზრდელები მოკლებული არიან საშუალებას პრაქტიკული მუშაობით განამტკიცონ სწავლის პროცესში მიღებული ჩვევები კერვაში.

3. საბავშვო სახლების დირექტორები შრომითი სწავლების საქმისადმი დაუშვებელ შეუფასებლობას იჩენენ, ნაკლებად ზრუნავენ სახელოსნოების საწარმოო იარაღებითა და მასალით უზრუნველყო-

ფისათვის. ამის შედეგად რიგ საბავშვო სახლებში შრომითი სწავლების სახელოსნოები სუსტად მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან გამომდინარე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლების დირექტორებმა ერთი თვის ვადაში:

ა) შეავსონ სახელოსნოები საჭირო საწარმოო იარაღებითა და მოწყობილობით იმ ვარაუდით, რომ ერთდროულად შეეძლოს პრაქტიკული მუშაობა 15—20 მოსწავლეს;

ბ) გადააჯგუფონ სახელოსნოებში ჩაბმული მოსწავლეები ცოდნის შესაბამისად და უზრუნველჰყონ მათი სწავლება შესაფერი პროგრამით;

გ) დაუყოვნებლივ მოიყვანონ წესრიგში აღრიცხვის საქმე განათლების სამინისტროს მითითებების საფუძველზე;

დ) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ სახელოსნოების მუშაობას პედაგოგიური და ორგანიზაციული მითითებებით, მოწინავე აღსაზრდელთა წახალისებით, შრომის ინსტრუქტორის ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენით სხდომებზე და ა.შ;

ე) უზრუნველჰყონ სახელოსნოების მუშაობის წარმართვა იმგვარად, რომ ის ემსახურებოდეს საბავშვო სახლს, იკეთებოდეს ახალი, ხდებოდეს ძველების შეკეთება-გადაკეთება (განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული წესის საფუძველზე).

2. მატერიალური ფონდების განყოფილებამ (უფროსი ამხ. დ. მელიქაძე):

ა) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლები საჭირო რაოდენობის ქსოვილით და სხვა საჭირო მასალით, მათი კუთვნილი თეთრეულის — პირსახოცების, ცხვირსახოცების, სუფრების, წინსაფრებისა და სხვათა შესაკერავად;

ბ) გაითვალისწინოს მომავალი წლისათვის სახელოსნოების მანქანა-იარაღებითა და მასალით მომარაგება ცენტრალიზებული წესით, კერძოდ, თითოეული სამკერვალო სახელოსნოს უზრუნველყოფა, ყოველ 10 მოსწავლეზე ერთი საკერავი მანქანით;

გ) დააწესოს კონტროლი საბავშვო სახლების სამკერვალო სახელოსნოებისათვის თეთრეულისა და ტანსაცმელის დასამზადებლად გაცემული ქსოვილის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებაზე.

3. კოჯრის ცენტრალური სახელოსნოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის:

მე-4 საბავშვო სახლის დირექტორმა, ამხ. რიაზანცევამ:

1. უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყოს ელექტროდენის გაყვანა საზეინკლო სახელოსნოში და მექანიზებული დაზგების ამუშავება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. შეავსოს სახელოსნოები საჭირო მოწყობილობით (კარადებით, სკამებით, საკიდებლებით და სხვა საჭირო დგამით) 20 მოსწავლის ერთდროულად მუშაობის უზრუნველსაყოფად.

3. სისტემატური კონტროლი გაუწიოს საზეინკლო და საფეხსაცმლო ცენტრალურ სახელოსნოებს ყოველდღიურ მუშაობაში და მოაწესრიგოს მათი მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა დაშვებული ინსტრუქციის საფუძველზე.

4. ვინაიდან კოჯრის გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა საბავშვო სახლსა და სკოლას უკეთესი პირობები აქვს სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლებისათვის, ვიდრე საფეხსაცმლო შრომისათვის, ამ სკოლა-საბავშვო სახლში შემოღებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო შრომის სწავლება საფეხსაცმლოს მაგიერ.

5. საგეგმო-საფინანსო განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ბიწაძე) გაითვალისწინოს 1948 წლის ბიუჯეტში საჭირო ხარჯები საბავშვო სახლებთან არსებული სასწავლო-შრომითი სახელოსნოების უზრუნველყოფისათვის იარაღ-მანქანებითა და მასალით.

6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სადაც საბავშვო სახლები არსებობენ, დააწესონ სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

7. საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლების განყოფილებამ (უფროსი თ. ჭყონია):

ა) გააძლიეროს ცოცხალი ინსტრუქტაჟი ადგილებზე შრომითი სწავლების სახელოსნოების პრაქტიკული მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში;

ბ) შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება მიმდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედის ბოლოს და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

8. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნოს ყველა საბავშვო სახლსა და იმ სახალხო განათლების რაიგანყოფილებებს, რომელთა გამგებლობაშიაც საბავშვო სახლები იმყოფებიან.

**საქართველოს სსრ განათლების**
**მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 183

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

**1948 წლის 30 იანვარი**

### უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა გამოკვლევის შედეგებს უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, თელავის, ჯავის, ხაშურის, ცხაკაიას და ხარაგოულის რაიონის სკოლებში, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა ენერგიული მუშაობისა და განათლების განყოფილებათა სწორი ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად მთელ რიგ სკოლებში უცხო ენების სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ასე მაგ. თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში (მასწ. ბიძინა ფერაძე, დამთავრებული აქვს პუშკინის სახ. პედინსტიტუტის ინგლისური ენის სექტორი. პედსტაჟი 10 წ.) კარგად არის დაყენებული ინგლისური ენის სწავლება. მასწავლებელი გეგმიანად მუშაობს, აქვს წლიური და მეოთხედური გეგმები და ყოველ გაკვეთილს მომზადებულად ატარებს. გაკვეთილის თითოეული წუთი მასწავლებლის მიერ რაციონალურად არის გამოყენებული; მისი გაკვეთილი მუდამ მრავალფეროვანი და შინაარსიანია; მასწავლებელი გაკვეთილზე სათანადო ადგილს უთმობს ტექსტის კითხვას და მის ლექსიკურ დამუშავებას, აწარმოებს ვარჯიშს წერასა და ზეპირ მეტყველებაში. VI კლასის მოსწავლეები კითხულობენ კარგად, მათი სიტყვათა მარაგი შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მასალას. გრამატიკული წესები მოსწავლეებს კარგად აქვთ ათვისებული, თავისუფლად ერკვევიან დროთა ფორმებში და ასახელებენ სათანადო მაგალითებს. წერითი მუშაობა საკმაო რაოდენობით ტარდება. წერის დროს მოსწავლეები იჩენენ საკმაო ცოდნას, წერენ სუფთად და გარკვეულად;

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ინგლისური ენის სწავლება თბილისის ვაჟთა VI სკოლაშიც (მასწ. ეთერი ალაძე, დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1945წ. პედსტაჟი 2წელი) ამ სკოლის V კლასის მოსწავლეების კითხვის ტექნიკა სრულიად დამაკმაყოფილებელია. მოსწავლეთა ზეპირი მეტყველებაც თავის სიმაღლეზე დგას; გრამატიკის მასალას მასწავლებელი ოსტატურად უკავშირებს საკითხავ მასალას. მოწაფეები წერენ დამაკმაყოფილებლად, მასწავლებლის მიერ შემჩნეული შეცდომები დროულად და წესიერად სწორდება. მასწავლებელი გაკვეთილზე მთელ კლასს აბამს მუშაობაში; მოსწავლეებში იწვევს ენის შესწავლისადმი დაინტერესებას; მოსწავლეები საშინაო დავალებებს მონდომებით და წესიერად ასრულებენ.

სოხუმის ქალთა მე-4 სკოლაში (მასწავლებელი ადა გიორგისასული ჩეპელი. უმაღლესი ცოდნით, პედსტაჟი 12 წ.) კარგად არის დაყენებული გერმანული ენის სწავლება.

მასწავლებელი სერიოზულად ემზადება თითოეული გაკვეთილისათვის. მისი მოსწავლეები (VI, X კლასები) კარგად არიან დაუფლებული კითხვის ტექნიკას, მასწავლებელი გულდასმით ადევნებს თვალყურს კითხვის პროცესს, ყოველ შეცდომას დროზედ უსწორებს და სწორადვე ამეორებინებს მოსწავლეებს.

2. კარგად არის დაყენებული ლექსიკაზე მუშაობა. ახალ სიტყვებს მასწავლებელი მუდამ უხსნის და რვეულებში აწერინებს; ასეთი მუშაობის შედეგად მოსწავლეების სიტყვათა მარაგი მდიდარია, მათ არ უჭირთ საყოფაცხოვრებო საკითხებზე საუბარი, რადგანაც ყოველ გაკვეთილზე მასწავლებელი ასეთ საუბარს რამდენიმე წუთს უთმობს. გრამატიკის სწავლებას მასწავლებელი მუდამ უკავშირებს ტექსტის შესწავლას, რის შედეგად გრამატიკის სწავლებას აღარ აქვს განყენებული, სქოლასტიკური ხასიათი.

ყოველ გაკვეთილზე მასწავლებელი ამოწმებს რამდენიმე მოსწავლეს და იძლევა მათი ცოდნის ზუსტ შეფასებას.

ასევე კარგად მუშაობს სოხუმის ვაჟთა II სკოლის მასწავლებელი სანიკოვა ოლღა (დაუმთავრებელი უმაღლესი გან.—ასწავლის გერმანულ ენას, პედსტაჟი 24 წ.), რომლის მოსწავლეები იმდენად არიან მომზადებული, რომ მათ არ უძნელდებათ განმარტონ გრამატიკული ტერმინები და მოგვცენ სათანადო ახსნა-განმარტება გერმანულ ენაზე.

კარგად მუშაობს აგრეთვე სოხუმის ქალთა მე-4 სკოლის მასწავლებელი სტარცევა ანტონინა ფეოდორის-ასული. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული სკოლის V კლასებში ფრანგული ენის შესწავლა მეორე მეოთხედში დაიწყეს, მოსწავლეები კარ-

გად არიან მომზადებული და გავლილ მასალას კარგად ფლობენ. მასწავლებელი სარგებლობს თვალსაჩინო პლაკატებით, რომლებსაც თვითონ ამზადებს და ამით უადვილებს მოსწავლეებს მასალის ათვისებას. ეს კარგი მუშაობა ეტყობა აგრეთვე XI კლასს, ეროვნული ბიბლიოთეკა მოსწავლეები ახალ გაკვეთილს თავისუფლად თარგმნიან და მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე შეგნებულად და სწორად პასუხობენ. დიდ ყურადღებას აქცევს მასწავლებელი სწორ გამოთქმას და ყოველივე შეცდომას ასწორებინებს თვით მოსწავლეებს, რითაც აიძულებს მოსწავლეებს ყურადღებით იყვნენ გაკვეთილზე. თვითონ მასწავლებელი კარგად ემზადება გაკვეთილისათვის და არ ზოგავს დროს მოსწავლეებს კლასგარეშეც გაუწიოს დახმარება უცხო ენის შესწავლაში.

ბათუმის ვაჟთა II სკოლის მასწავლებელი ვენერა ვიქტორის-ასული გოგოლაძე ენერგიულად მუშაობს, თუმცა სკოლაში მუშაობა მან პირველ ნოემბრიდან ძალიან ჩამორჩენილ კლასებში დაიწყო, მაგრამ ენერგიული მუშაობის შედეგად გავლილი მასალა მოსწავლეებს კარგად აქვთ ათვისებული. VI კლასში სწორად თარგმნიან წინადადებებს. მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს ყოველი შეცდომის გასწორებას. გამოთქმა შედარებით კარგია.

კარგად მუშაობს აგრეთვე ქალთა მე-9 რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ქეთევან იასონის-ასული საბახტარაშვილი (უმაღლესი ცოდნით. სტაჟი 11 წელი). მოსწავლეებს კითხვის ტექნიკა კარგი აქვთ; სიტყვათა მარაგი მდიდარია; მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს კალიგრაფიას; შეკითხვებზე მოსწავლეები სწორ პასუხს იძლევიან; გრამატიკაში გავლილი მასალა კარგად იციან. მასწავლებელი გაკვეთილის გადაცემის დროს მრავალფეროვან მეთოდს ხმარობს, საშინაო დავალებებს გულდასმით ამოწმებს. ყველა ახალ სიტყვებს კარგად უხსნის, დაფაზე უწერს და მოსწავლეებს რვეულებში აწერინებს, ცუდად გამოთქმულ სიტყვას მწკრივებად შლის და ამით აღწევს სიტყვის სწორ გამოთქმას, რასაც კლასს ამეორებინებს.

ქალაქ ბათუმის I საშ. სკოლის მასწ. ირა აკაკის-ასული არეშიძე (უმაღლესი ცოდნით, სტაჟი 6 წელი) დიდ ყურადღებას აქცევს ფონეტიკას. გამოთქმის კარგად შესათვისებლად სათანადო სურათებს აჩვენებს მოსწავლეებს; ცდილობს ყოველი სიტყვა გააგებინოს თვალსაჩინოების ხერხით და თარგმნას მხოლოდ საჭიროების დროს მიმართოს. მე-8 და მე-10 კლასებში მოსწავლეებს გამოთქმა კარგი აქვთ. ტექსტის შინაარსის გადმოცემის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეები ამჟღავნებენ ლექსიკის სიმდიდრეს. განსაკუთრებით დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული მასწავლებელს გრამატიკის სწავლებაში; მოსწავლეები ბევრს ვარჯიშობენ ამ დარგში, კარგად ერკვევიან გრამატიკულ ფორმებში.

ბათუმის ქალთა მე-2 სკოლაში გერმანულ ენას ასწავლის მასწ. მარგალიტა ივანეს-ასული ხუციევი (უმაღლეს დაუმთავრებელი განათლებით, სტაჟი 25 წელი). მასწავლებელმა საუკეთესოდ იცის გერმანული ენა. მისი გაკვეთილები მეთოდურად კარგად არის გამართული. მოსწავლეები კარგად არიან შეჩვეულნი ერთმანეთისათვის კითხვების დასმასა და საუბრის გამართვას განვლილი მასალის ირგვლივ.

ცხაკაიას ქალთა სრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინა იპოლიტეს-ასული ლოლუა (უმაღლესი განათლებით, სტაჟი 8 წელი) დიდ ყურადღებას აქცევს უცხო სიტყვების სწორ გამოთქმას, მახვილს, გულდასმით ამოწმებს თითოეული მოსწავლის მიერ ცალკეული ახალი სიტყვების შეთვისებას. საშინაო დავალებას ზომიერად აძლევს და შესრულებას ამოწმებს. მოსწავლეებს ხშირად ავარჯიშებს ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნაში, თარგმნილ ტექსტებს მოსწავლეებს ჯერ დაფაზე აწერინებს, მათი სისწორის შემოწმების შემდეგ კი—რვეულში.

ცხაკაიას ქალთა რუსული საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ემა ალექსანდრეს-ასული მხეიძე (უმაღლესი ცოდნით სტაჟი 33 წ.) თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია. მუშაობის დროს იყენებს მრავალ მეთოდს, მათ შორის შესანიშნავია ხერხი, რომლითაც მასწავლებელი აწარმოებს სიტყვების განმეორებას, არც ერთი მოსწავლე არ რჩება მასწავლებლის ყურადღების გარეშე. ყველა პასუხობს და ეტყობა, რომ ეს ჩვეულებრივად ასე ხდება ყოველ გაკვეთილზე, იმდენად მოსწავლეები შეჩვეული არიან ამ ხერხს. დიდი ოსტატობით ხსნის მასწავლებელი ახალ მასალას. წიგნების უქონლობის გამო მასწავლებელი V კლასში დაფაზე წერს ასოებს, თან უხსნის ყოველივე ასოს მნიშვნელობას, დაწერილობას, ყოველივე ახალი სიტყვის მნიშვნელობას. მასწავლებელი ახერხებს, რომ უცნობი სიტყვები ძირითადად კლასშივე შეასწავლოს მოსწავლეებს.

კარგად მუშაობს და კარგ წარმატებას აღწევს აგრეთვე I საშ. სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ბერნადოვიჩი, ილია მათეს-ძე, რომელიც თუმცა კარგად არ არის დაუფლებული გერმანულ ენას, მაგრამ ეტყობა ბევრს მუშაობს თავის თავზე, გაკვე-

თილებზე მოდის კარგად მომზადებული და ამიტომაც კარგ ცოდნას აძლევს მოსწავლეებს.

ხაშურის ვაკეთა I სკოლის მასწავლებელი ხვედელიძე თამარ ნიკოლოზის-ასული (უმაღლესი განათლებით. სტაჟი 8 წელი) ასწავლის ინგლისურ ენას; V—IX—X კლასებში მასწავლებელი გაკვეთილებს კარგად ატარებს; კითხვის ტექნიკა მოსწავლეებს კარგი აქვთ, გავლილი მასალა კარგად აქვთ შეთვისებული, რაც გამოიხატება მთელი კლასის აქტიურობაში ფრონტალურად გამოკითხვის დროს.

სურამის საშუალო სკოლაში ფრანგულ ენას ასწავლის მასწავლებელი თინათინ ალექსანდრეს-ასული ქებაძე (უმაღლესი განათლებით, საერთო სტაჟი 6 წელი, უცხო ენაში 3 წ.) მოსწავლეებს სიტყვათა მარაგი კარგი აქვთ. მასწავლებელი მათ ელაპარაკება ფრანგულად და მოსწავლეებს მისი შეკითხვები და დავალებები ესმით. მოსწავლეები ტექსტებს თარგმნიან ქართულიდან ფრანგულზე და პირიქით. დიდ ყურადღებას აქცევს მასწავლებელი არა მარტო კითხვის ტექნიკას და თარგმნას, არამედ გამოთქმასაც, იყენებს თვალსაჩინოებას, დამზადებული აქვს მოძრავი ასოები, რომლებიდანაც მოსწავლეები ადგენენ სიტყვებს. IX კლასში მასწავლებელმა მიიღო 15 მოსწავლე, რომლებიც წინათ გერმანულ ენას სწავლობდნენ. მასწავლებელმა მათ დამატებითი გაკვეთილები მისცა და ეხლა ისინიც კლასთან ერთად მიდიან. უნდა აღინიშნოს მასწავლებელ ქებაძის განსაკუთრებული სიყვარული თავის საქმისადმი.

კარგად მუშაობს თელავის ქალთა მე-3 სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი თამარა ივანეს-ასული მთვარელაშვილი (უმაღლესი ცოდნით, სტაჟი 9 წელი). მასწავლებელმა საგანი კარგად იცის. VII და X კლასებში მოსწავლეების ცოდნა პროგრამის მოთხოვნილებასთან შედარებით ძალიან კარგია. მასწავლებელი ახლად ახსნილ გრამატიკულ მასალის შესათვისებლად მოსწავლეებს ბევრს ავარჯიშებს, მრავალი მაგალითით გაკვეთილზევე განამტკიცებს გადაცემულ მასალის ცოდნას. მოსწავლეები კარგად არიან მომზადებული. მასწავლებელი მათ ელაპარაკება გერმანულად და მოსწავლეები ამავე ენაზე უპასუხებენ.

კარკად მუშაობს სტალინირის ვაკეთა ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი ევგენია იასონის-ასული საძაგლიშვილი (უმაღლესი განათლებით, სტაჟი 17 წელი). დასახელებული სკოლის X კლასის მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებულნი გავლილ მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას, მათი ცოდნა სავსებით შეეფერება პროგრამის მოთხოვნილებას. გაკვეთილი ტარდება გერმანულ ენაზე. მასწავლებლის მიერ საშინაო დავალების შემოწმებას ინდივიდუალური ხასიათ[illegible]. მოსწავლეები კითხულობენ თავისუფლად, შეგნებულად, ინტონაციით, წინადადებებს უშეცდომოდ წერენ და სწორად არჩევენ გრამატიკულად, გადააქვთ წინადადება ერთი დროიდან მეორეში. მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს მთელი კლასი.

ხარაგოულის ქალთა საშუალო სკოლაში (ფრანგული ენის მასწავლებელი თამარ ვლადიმერის-ას., აბულაძე, უმაღლესი ცოდნით, სტაჟი 15 წელი). მე-6 კლასის მოსწავლეებმა გავლილი მასალა კარგად იციან, დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი დროულად ასწორებს, მოსწავლეები კითხულობენ კარგად, ფრონტალურ კითხვებზე კარგად პასუხობენ; გრამატიკა ისწავლება ტექსტთან დაკავშირებით; მოსწავლეები კარგად არჩევენ წინადადებებს, როგორც მორფოლოგიურად ისე სინტაქსურად.

ახალი მასალის გადაცემის დროს მასწავლებელი იყენებს თვალსაჩინოებას. ფრონტალური კითხვების საშუალებით მასწავლებელი ამოწმებს კლასის მომზადებას, ეხმარება ჩამორჩენილებს. მასწავლებელი კარგად არის დაუფლებული საგანს და მუშაობის ტექნიკას.

ასევე კარგად მუშაობენ ბათუმის ქალთა VIII სკოლის მასწავლებელი ვერა დიომკინა, ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი თინა ლოლუა, ქვიშხეთის (ხაშურის რ.) საშ. სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ვენერა პაპიშვილი, სტალინირის რუსული ვაჟთა და ქალთა სკოლების ინგლისური ენის მასწავლებელი ბანდურ დავითის-ძე ძასოხოვი, სტალინირის ქალთა ქართული სკოლის მასწავლებელი ჯიოევი და ხარაგოულის ვაჟთა საშუალო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელი პეტრე გიორგის-ძე კვინიკაძე და სხვ.

ბევრ რაიონში სახალხო განათლების განყოფილების გამგეები, პედკაბინეტის გამგეები და სკოლის დირექტორები სათანადო ყურადღებას აქცევენ უცხო ენების სწავლების მდგომარეობას. სწავლობენ უცხო ენების მასწავლებლების მუშაობას და დახმარებას უწევენ მათ

ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების პედკაბინეტთან არსებულ უცხო ენების მეთოდურმა სექციამ მიმდინარე წელს მასწავლებელთა შორის რამდენიმე მეთოდური საკითხი დაამუშავა. („გავლილი მასალის გამეორების ორგანიზაცია უცხო ენაში“, „წე-

რითი მუშაობის სახეები", „ლექსიკური მუშაობა" და სხ.). სექციის სხდომებზე მასწავლებლები ხალისით მოდიან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. კარგად მუშაობს აგრეთვე ბათუმის და ცხაკაიას პედ. კაბინეტის უცხო ენების სექციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის ქალთა I სკოლაში დირექტორის მიერ მიმდინარე წელს 7 გაკვეთილი იქნა მოსმენილი ინგლისურ ენაში; სასწავლო ნაწილის მიერ კი—8 გაკვეთილი. ამავე სკოლაში უცხო ენების სწავლების მდგომარეობა განხილული იყო პედსაბჭოს სხდომაზეც.

ასეთივე მდგომარეობა არის სტალინირის ვაჟთა რუსულ საშუალო სკოლაში და ქალთა რუსულ-საშუალო სკოლაში და სხვ.

მიუხედავად ამ წარმატებისა, სკოლების დიდ უმრავლესობაში უცხო ენების სწავლება მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მოსწავლეთა დიდი ნაწილი უფროს კლასებშიაც ვერ არიან კითხვის ტექნიკას დაუფლებული, არა აქვთ საჭირო სიტყვათა მარაგი, არ შეუძლიათ მშობლიური ენიდან უცხო ენაზე და უცხო ენიდან მშობლიურზე თარგმნონ მარტივი ტექსტი, ვერ ახერხებენ თავიანთი აზრის გამოთქმას ზეპირად და წერილობით.

ჯერ კიდევ არ არის შესრულებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილების ის ნაწილი, რომლის მიხედვით საშუალო სკოლამ უნდა „უზრუნველჰყოს ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა თითეული მოსწავლის მიერ, რომელიც სკოლას ამთავრებს."

ზოგი განათლების განყოფილების გამგე, პედკაბინეტი, სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ხშირად ვერ იჩენს საჭირო პასუხისმგებლობას უცხო ენების სწავლებისადმი, არ ამოწმებენ უცხო ენების მასწავლებელთა მუშაობას, არ ეხმარებიან მათ, არ ზრუნავენ კადრების შერჩევისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება და სტალინირის და ჯავის რაიონების განათლების განყოფილებები ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას უცხო ენების სწავლებას; უცხო ენების გაკვეთილი ხშირად ჩაბარებული აქვს საგნის უცოდინარ პირს. ასევე შეიძლება ითქვას თელავისა და ხარაგოულის განათლების განყოფილებათა შესახებ. ხარაგოულში პედკაბინეტი სრულიად არ არსებობს.

ქ. ბათუმის განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს იმ გარემოებას, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ ესწრებიან უცხო ენების მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლებს გაკვეთილებზე, არ სწავლობენ მათ მუშაობას და არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას.

ხშირად ადგილი აქვს ერთ უცხო ენის შეცვლას მეორე უცხო ენით, რაც უხაყოფოდ ხდის მთელი წლების მუშაობას ასე, მაგ. ცხაკაიას ქალთა საშუალო სკოლაში 1944 წლამდე ისწავლებოდა ფრანგული ენა, ხოლო 1944 წლიდან შემოიღეს ინგლისური ენა, ამრიგად მიმდინარე წელს XI კლასში ფაქტიურად უცხო ენის სწავლების IV წელია და არა მეშვიდე.

სოხუმის ქალთა მე-3 სკოლაში მე-9-10 კლასებში მიმდინარე წლამდე სწავლობდნენ გერმანულ ენას, წელს გადაიყვანეს ინგლისურზე. ასეთ მდგომარეობას სხვაგანაც აქვს ადგილი.

არავინ უწევს სათანადო კონტროლს იმ გარემოებას, რომ ხშირად ესა თუ ის კლასი ერთი ორი წლით არის პროგრამას ჩამორჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განათლების სამინისტროს მითითება, რომლის მიხედვით თუ რომელიმე საგანში პროგრამასთან შედარებით ჩამორჩენას აქვს ადგილი, ამ კლასის მოსწავლეთა შემდგომ კლასში გადაყვანის საკითხი განათლების სამინისტროში უნდა დაისვას, უცხო ენების მიმართ ეს მითითება ცხოვრებაში არ ტარდება და ხშირად განათლების განყოფილებამ და ზოგჯერ სკოლის დირექტორმაც არცკი იცის, რომელ კლასში როგორ არის პროგრამის შესრულების საქმე, ამის მიზეზი ის არის, რომ არ ხდება შემოწმება იმისა, თუ რამდენად ეთანხმება მასწავლებლის მიერ შედგენილი კალენდარული გეგმა ოფიციალურ პროგრამებს და როგორ მიმდინარეობს ამ გეგმის შესრულება .ბათუმის ქალთა I საშ. სკოლაში, ქალთა მე-9 ქართულ რვაწლიან სკოლაში, ძველი სენაკის საშ. სკოლაში, მასწავლებელთა კალენდარული გეგმები არ ეთანხმება ოფიციალურ პროგრამებს, ხოლო ჯავის საშუალო სკოლაში მასწავლებელს (კარსუკოვი) არავითარი გეგმა არ გააჩნია.

სურამის II საშ. სკოლის VII-VIII კლასებში სწავლობენ მასალას, რომელიც პროგრამით VI კლასშია გათვალისწინებული; IX-X-XI კლასებში კი სწავლობენ VII კლასის მასალას. ასეთივე მდგომარეობაა სტალინირის I რუსულ ვაჟთა სკოლაში, ბათუმის ვაჟთა მე-2 სკოლაში და სხვაგან.

განათლების განყოფილების გამგეები , სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები ხშირად არ აქცევენ ყურადღებას იმას თუ რა რაოდენობისა და რა სახის წერითი სამუშაოები

ტარდება უცხო ენებში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარაგოულის რაიონის სოფ. სალანძილეს რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს, გვაძაბიას, მიმდინარე სასწავლო წელს საკონტროლო წერითი მუშაობა ერთხელაც არ ჩაუტარებია.

ქ. სოხუმის ვაჟთა მე2 (მასწ. ხანიოვა), ბათუმის ქალთა 1 (მასწ. არეშიძე), ვაჟთა მე-2 (მასწ. გოგოლაძე და მიმინოშვილი). თელავის ქალთა 1 (მასწ. მელაძე) და მთელ რიგ სხვა სკოლებში საკონტროლო წერითი მუშაობა მეოთხედში მხოლოდ ერთხელ ტარდება.

სტალინირის ქალთა ქართულ სკოლაში (მასწ. ჯიოევი) და მოლითის საშ. სკოლაში (მასწ. კავიაშვილი) თუმცა წერითი მუშაობა ტარდება, მასწავლებელიც შეცდომებს ასწორებს, მაგრამ მოსწავლეებს სავალდებულოდ არ უხდიან შეცდომათა გასწორებას.

უცხო ენის სწავლებისადმი ასეთი უყურადღებობის შედეგია, რომ ბევრი უცხო ენის მასწავლებლის მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია, მათი მოსწავლეების მომზადების დონე შეუწყნარებლად დაბალია.

ჯავის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ალკარსუკოვი (სპეციალობით მათემატიკოსი) გაკვეთილისათვის არ ემზადება. არა აქვს კალენდარული გეგმა; არა აქვს დღიური. სახელმძღვანელო წიგნი მოსწავლეებს არ გააჩნიათ. მასწავლებელი ასწავლის მხოლოდ გრამატიკას; გრამატიკის წესებს ქართული სკოლის მოსწავლეებს რვეულში რუსულად აწერინებს. მოსწავლეები მოუმზადებელნი არიან. მოსწავლეთა მიერ წიგნიდან გადაწერილ ტექსტებში აუარებელი შეცდომაა დაშვებული. მასწავლებლის ხელი არსად ჩანს. თვითონ მასწავლებელმა ენა არ იცის, უშვებს შეცდომებს.

ასევე სრულიად არ იცის გერმანული ენა თელავის რაიონ. ვარდისუბნის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა მ. კობიაშვილმა (დამთავრებული აქვს თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფიზიკომათემატიკური ფაკულტეტი), მის მიერ შედგენილ გეგმაში დაშვებულია მრავალი შეცდომა. მოსწავლეთა ნაწერებს ვერ ასწორებს. „4"-ით შეფასებულ ნაწერში შეუმჩნეველი აღმოჩნდა 9 შეცდომა.

თელავის ქალთა I სკოლის XI კლასის მოსწავლეებს (მასწ. მელაძე-ველერიან ანდრიას-ძე) არ აქვთ სიტყვათა მარაგი; არ იციან გრამატიკის ელემენტებიც კი. მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი არ ასწორებს, წერით ვარჯიშს იშვიათად

ატარებს (I მეოთხედში ჩაატარა ერთხელ). ბათუმის ვაჟთა მე-2 სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მიმინოშვილი ლუდმილა ანდრიას-ას. დამთავრებული აქვს ქუთაისის პედ. ინსტიტუტი) არ იციან უბრალო ზმნების უღლება, მახვილს არასწორად აკეთებენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებელიც. მოსწავლეების სწორ პასუხს მასწავლებელი არასწორად ასწორებს.

დავალების მიცემისას მასწავლებელი შეცდომებს უშვებს. მასწავლებელმა გერმანული ენა სრულიად არ იცის.

ცუდად არის მომზადებული თელავის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები (მასწ. გოზალიშვილი ქეთევან). VIII კლ. მოსწავლეები კითხულობენ ცუდად, მახვილი და გამოთქმა არ უვარგათ, მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება არ ხდება. მასწავლებელი სიტყვებს არასწორად თარგმნის. მასწავლებელი არ აძლევს მოსწავლეებს არავითარ გრამატიკულ ჩვევებს.

F1054

საშინაო დავალების რვეულებში დაშვებულია აურიცხველი შეცდომა, რომლებიც სრულებით არ სწორდება.

სურამის მე-2 სკოლის VII—VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. ძმშვეილძე) კითხვა ცუდად იციან, უშვებენ შეცდომებს გამოთქმაში. კითხვის დროს უმლაუტს არ აქცევენ ყურადღებას, დიფთონგი ei კითხულობენ როგორც, ე. ი. მასწავლებელი შეცდომებს არ ასწორებს. გავლილი მასალა მოსწავლეებს მტკიცედ არ აქვთ შეთვისებული. უჭირთ ზმნების უღლება; მარტივ საყოფაცხოვრებო სახის საკითხებზე უძნელდებათ პასუხის გაცემა. ზოგ მოსწავლეს საშინაო რვეული არა აქვს. მასწავლებელმა ენა იცის მაგრამ სერიოზულად არ მუშაობს

ხარაგოულის რაიონის ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი კვირიკაშვილი თამარ მიხეილის-ას. (სტაჟი 4 წელი, უცხო ენაში 2 წელი) არ არის დაუფლებული თავის საგანს და უცხო ენის სწავლების მეთოდიკას. მოსწავლეებს კალიგრაფია ცუდი აქვთ, ახალ სიტყვებს მასწავლებელი არ ხსნის. მოსწავლეებს არა აქვთ ჩვევა დიფთონგების გამოთქმისა, ზეპირი მეტყველება სუსტია, გრამატიკული მასალის დაკავშირება საკითხავ მასალასთან არ ხდება.

სოფელ საღანძილეს რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა (გერმანული ენის მასწავლებელი ნ. გვაძაბია) არ იციან უარყოფითი სიტყვების ხმარება; გრამატიკული მასალა არ უკავშირდება საკითხავ მასალას, მასწავლებელმა არ შეაჩერა მოსწავლეების ყურადღება

იმაზე, თუ როგორ და როდის გამოითქმის "ჩ", მოსწავლეები ვერ არჩევენ მაგარ და რბილ ხმოვნებს.

სოხუმის I ქალთა სკოლის V-VIII-XI კლასი მოსწავლეთა (ინგლისური ენის მასწავლებელი ფარულავა მერი გიორგის ასული, დამთ. აქვს სოხუმის უცხო ენების ფაკულტეტი. სტაჟი 5 წ.) კითხვის ტექნიკა სუსტია, ორთოეპური წესები მოსწავლეებმა არ იციან; ზეპირმეტყველება ღარიბია, ბევრ შეცდომას უშვებენ პასუხის დროს, გრამატიკული მასალა ათვისებული აქვთ მექანიკურად, სრულებით არ არსებობს ანალიზური კითხვა, თარგმნას სწავლობენ მექანიკურად და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა არ იციან. სიტყვებს დაფიდან მასწავლებელი ტრანსკრიპციით აწერინებს, მაგრამ კმაყოფილდება თარგმნით და არავითარ ახსნა განმარტებას არ აწარმოებს მათ შემადგენლობაზე. მასწავლებელი არასაკმაოდ არის დაუფლებული ენას, მიუხედავად ამისა, არა სისტემატურად ემზადება გაკვეთილებისათვის და თავის თავზეც არ მუშაობს.

თავიანთ საქმისადმი ზოგიერთი მასწავლებლის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით და მასწავლებლის მუშაობისადმი სუსტი კონტროლით აიხსნება ის ფაქტი, რომ ხშირად მასწავლებელს ცოდნა აქვს, შეუძლია კარგად დააყენოს საგნის სწავლება, მაგრამ ცუდად მუშაობს და მოსწავლეებს საჭირო ცოდნას ვერ აძლევს.

თელავის I ვაჟთა საშ. სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი სილვა მესხი, რომელსაც დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, ინგლისური ენის სპეციალობით, საგნის კარგი მცოდნეა, ინგლისურ ენაზე კარგად ლაპარაკობს, გამოთქმა სწორი აქვს, მაგრამ იმის გამო, რომ მონდომებით არ მუშაობს, გაკვეთილისათვის არ ემზადება, მისი მოსწავლეები მოუმზადებელნი და უცოდინარნი არიან.

მასწავლებელი არ ღებულობს ზომებს, რომ ახალი მასალა გააგებინოს მოსწავლეებს, გაკვეთილზე მუშაობაში ვერ აბამს მოსწავლეთა უმრავლესობას და მხოლოდ 2—3 მოსწავლესთან მუშაობს. ცუდად ახსნილ მასალას მოსწავლეები ვერ გებულობენ, საშინაო დავალებას ვერ ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებმა ძველი მასალა არ იციან, მასწავლებელი მაინც ახალ მასალას აძლევს. მოსწავლეთა ლექსიკა მეტად ღარიბია. ისინი ვერ გებულობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს, თუ ის ქართულად არ უთარგმნა.

მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს აღზმრდელობით მუშაობას. მასალა „შვიდი ნოემბრისათვის მზადება" 11 დეკემბერს აუხ-

ია მოსწავლეებს. VIII და X კლასებში წერითი მუშაობას მცირე
რაოდენობით ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ენების სწავლებაში არადამაკმაყოფილებელი მდგომა-
რეობაა აგრეთვე მოლითის საშუალო სკოლაში, ბაზალეთის შვიდ-
წლიან სკოლაში (მასწავლებელი დევდარიანი ს.), თელავის I ქალთა
საშ. სკოლაში (მასწ. ვ. მელაძე), სტალინირის ქალთა ქართულ სკო-
ლაში (მასწ. სალარაძე), ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო
სკოლაში (მასწ. ბჟალავა), სურამის I საშუალო სკოლაში, სოხუმის
I ვაჟთა სკოლაში და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უცხო ენის ყველა მასწავლებელი გულდასმით ემზადოს
გაკვეთილისათვის; გაკვეთილის სწორი ორგანიზაციით მიაღწიოს
იმას, რომ ყველა გაკვეთილზე სათანადო ადგილი ეთმობოდეს კითხ-
ვის სწორი ჩვევების გამომუშავებას, ლექსიკაზე მუშაობას, ვარჯიშს
ზეპირმეტყველების გასავითარებლად. გრამატიკის ელემენტების
სწავლებასა და მის სწორად დაკავშირებას ტექსტთან; უცხო ენიდან
მშობლიურზე და მშობლიურიდან უცხო ენაზე თარგმნას და სხვ.
ახალი გაკვეთილის ახსნისას მიიღოს ზომები, რომ მასალა ყველა
მოსწავლის მიერ იყოს გაგებული და ჩაატაროს სათანადო ვარჯიში
ახლადგადაცემული მასალის გასამტკიცებლად.

ყურადღება მიექცეს წერითი მუშაობის ჩატარებას საჭირო
რაოდენობით. საკონტროლო წერით სამუშაოსთან ერთად სისტემა-
ტურად ტარდებოდეს საკლასო სავარჯიშო წერითი სამუშაოები.
V კლასიდან (წლის მე-2 ნახევარი) სისტემატურად მიეცეს მარტივი
საშინაო დავალება წერაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს
როგორც ზეპირ, ისე წერით საშინაო დავალების შესრულების
შემოწმებას.

გაუწიონ ინდივიდუალური დახმარება ჩამორჩენილ მოსწავლე-
ებს.

2. დაევალოს სკოლის დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის
გამგეებს, გულდასმით შეისწავლონ უცხო ენების მასწავლებელთა
მუშაობა და ყოველ მეოთხედში განიხილონ საკითხი პედსაბჭოს
სხდომაზე და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

3. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს, რათა ყო-
ველ მეოთხედში შეამოწმონ უცხო ენების სწავლების მდგომარეობა
თავიანთ რაიონში და დასახონ ღონისძიებანი შემჩნეულ დეფექტე-
ბის გამოსასწორებლად. 1947/48 სასწავლო წლის III მეოთხედი-
დან უზრუნველჰყონ პედკაბინეტების უცხო ენების სექციის ვა-

შიანი და ნაყოფიერი მუშაობა. გამოავლინონ უცხო ენების საუკეთესო მასწავლებლები და მოაწყონ მათი გამოცდილების განზოგადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს განათლების განყოფილების გამგეებს და რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უცხო ენებში პროგრამების შესრულების შემოწმებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოარკვიონ ჩამორჩენის მიზეზები და მიიღონ ზომები ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად.

იმ შემთხვევაში, როცა კლასი პროგრამის მოთხოვნილებასთან შედარებით მთელი წლით არის ჩამორჩენილი, განათლების სამინისტროში წარმოადგინონ სათანადო ახსნა-განმარტება და დასვან საკითხი ამ კლასის მოსწავლეთა შემდეგ კლასში გადაყვანის შესაძლებლობის შესახებ.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გაუწიოს დახმარება რაიონის პედკაბინეტებს უცხო ენების სექციის მუშაობის დაგეგმვაში, ჩაატაროს ადგილებზე სემინარები უცხო ენების სწავლების მეთოდიკის საკითხებზე. მოაწყოს მასწავლებელთა მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები ქ. სტალინირში, სოხუმში, ბათუმში. ჩააბას ამ მუშაობაში სტალინირის, სოხუმისა და ბათუმის სამასწავლებლო და პედაგოგიური ინსტიტუტების უცხო ენების ლექტორები.

6. განათლების სამინისტროს მეთოდურმა განყოფილებამ შეიმუშაოს და დაუგზავნოს სკოლებს მეთოდური მითითებანი უცხო ენებში წერითი მუშაობის სახეებისა და რაოდენობის შესახებ კლასების მიხედვით.

7. აიკრძალოს ერთი უცხო ენის სწავლების შეცვლა მეორე ენით განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე.

8. დაევალოს ქ. სოხუმის, ქ. ბათუმისა და ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეებს შესაბამისად გაატარონ განსაკუთრებული ღონისძიებანი იმ ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ, რომელსაც ადგილი აქვს ქ. სოხუმის ვაჟთა I სკოლის IX-X-XI კლასებში, ბათუმის ვაჟთა მე-2 სკოლის X კლასში (სადაც ამჟამად მოსწავლეები VII კლ. მასალას გადიან) და სურამის II საშ. სკოლის უფროს კლასებში. უზრუნველყოფილი იქნას, რომ ამ კლასებში გამოსაშვები გამოცდებისათვის პროგრამა მთლიანად იყოს გავლილი.

9. მიეთითოს ჯავის, თელავის და ხარაგოულის განათლების განყოფილების გამგეებს, რათა მომავალში არ დაუშვან უცხო ენის გაკვეთილების გადაცემა მასწავლებლებისადმი, რომლებსაც არ აქვთ სათანადო ცოდნა და ცენზი.

10. ამხ. კარსუკოვი (ჯავის საშ. სკოლა), კობიაშვილი (თელავის რ.ვარდისუბნის რვაწლიანი სკ.) განთავისუფლდნენ უცხო ენის მასწავლებლის თანამდებობიდან, როგორც არასპეციალისტები და გამოყენებული იქნან ისინი თავიანთი სპეციალობის მიხედვით.

11. გაზეთმა "სახალხო განათლებამ" მოათავსოს მეთოდური წერილები უცხო ენის სწავლების საკითხებზე, გამოავლინოს და განაზოგადოს მოწინავე მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილება.

12. ეს დადგენილება განხილული იქნას რვაწლიანი და საშუალო სკოლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ზურაბულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 3002

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

„17" დეკემბერი 1947 წ.

**ზესტაფონის, ზუგდიდის, სამტრედიის, თიანეთის, გორის, ქუთაისის, მახარაძის, ცაგერის, ქვემო-სვანეთის, ორჯონიკიძის, ხაშურის რაიონების და აჭარის ასსრ სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.**

ადგილზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ აღნიშნული რაიონების სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლების უმრავლესობა დამაკმაყოფილებლად მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის და საგრძნობლად გააუმჯობესა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. მაგალითად, ხაშურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ დროულად დასახა და გაატარა საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად, უზრუნველყო ხსენებული სკოლები კვალიფიციური მასწავლებლებით, განათებითა და გათბობით, მოსწავლეები სახელმძღვანელოებითა და რვეულებით, დროულად აღრიცხა სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლებში ჩასაბმელ მოსწავლეთა კონტინგენტი, უზრუნველყო კონსულტაციების ჩატარება საშემოდგომო გამოცდების მქონე მოსწავლეებისათვის, რის შედეგად ხაშურის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლების 137 მოსწავლეთაგან საშემოდგომო გამოცდები ჩააბარა 118 მოსწავლემ. განათლების განყოფილება სისტემატურად აყენებდა კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების წინაშე საკითხს სოფლის ახალგაზრდობის სადამოს სკოლებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია. მაგ., სოფ. ოძისის კოლმეურნეობის (თავ-რე ამხ. დავ. ლაბაძე) დახმარება. აქ მოსწავლე ახალგაზრდობა გაერთიანებულია ერთ ბრიგადაში და შექმნილი აქვთ მეცადინეობის ნორმალური პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის ხაშურის რაიონის ალისა და ოძისის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები, რომლებსაც მეცადინეობის დაწყების დღისათვის მზად ჰქონდათ ყველა სახის სამუშაო გეგმები, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ. ნორმალურად მიმდინარეობს ამავე სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე გორის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები, რომელთა უმრავლესობას წესრიგში აქვს მოყვანილი სასკოლო დოკუმენტაცია, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ. სკოლები უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური მასწავლებლებით, განათებითა და გათბობით, ხოლო მოსწავლეები სახელმძღვანელოებითა და რვეულებით, მიღებულია სათანადო ზომები მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასასწრებლად და ა. შ. აღნიშნულის შედეგად სათანადოთ არის დაყენებული სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა, მაგალითად ხიდისთავის, ტინისხიდის, ქახვრელისა და სხვ. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ორჯონიკიძის, სამტრედიის, ზუგდიდის, ზესტაფონის, მახარაძის რაიონების მთელი რიგი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები.

ამასთან ერთად ზოგიერთი რაიონის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები სათანადოდ ვერ მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის, ვერ უზრუნველჰყვეს სოფლის ახალგაზრდობის აღრიცხული კონტიგენტის სწავლებაში ჩაბმა, დროულად ვერ მოაწესრიგეს სასკოლო დოკუმენტაცია, კერძოდ, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ.

მაგალითად, ქვემო-სვანეთის რაიონის ლენტეხის რვაწლიანი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში (დირ. მიხ. მანდარია) მთელ რიგ სასწავლო დისციპლინებში ა. წ. 1-ლ ნოემბრისათვის არ იყო შედგენილი წლიური კალენდარული გეგმები, არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა პირადი საქმეები, სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, კერძოდ, ცუდად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება (მასწავ. შალვა კენჭაძე), ძლიერ სუსტია მოსწავლეთა ცოდნა აღნიშნულ საგანში, თვით მასწავლებელი შ.კენჭაძე ვერ არის დაუფლებული რუსულ ენას.

ანალოგიური მდგომარეობაა ცაგერის რაიონის ორბელის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში (დირ. დავ. ნემსიწვერიძე),

სადაც მასწავლებლების მიერ რიგ სასწავლო დისციპლინებში არასწორად არის შედგენილი წლიური კალენდარული გეგმები, წესრიგში არ არის მოყვანილი სასკოლო დოკუმენტაცია, მოსწავლეები სათანადოთ არ არიან მომარაგებული სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით, არადამაკმაყოფილებელია მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრება და სხვ.

სუსტად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის მახინჯაურის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში, სადაც ამ საგნის მასწავლებელი ალექსანდრა თევზაძე ვერ არის დაუფლებული რუსულ ენას და თავისი მომზადებით სრულიად არ შეეფერება თავის თანამდებობას.

ასპინძის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში ცუდია მოსწავლეთა დასწრება მეცადინეობაზე, რაც გამოწვეულია კოლმეურნეობების მიერ მოსწავლეთა შორეულ სამუშაოებზე გაგზავნით.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობაში არსებული ხარვეზი და ნაკლოვანებანი აიხსნება იმით, რომ სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებმა ვერ უზრუნველჰყვეს ამ სკოლებზე კონკრეტული ხელმძღვანელობა და ოპერატიული დახმარება და, მიუხედავათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს არაერთგზისი გაფრთხილებისა, არ გაანაწილეს მასობრივი სკოლების მოსწავლეთა თანაბრად მიღებული სახელმძღვანელოები და რვეულები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეებზე, რის შედეგად რიგ შემთხვევაში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა მიიღეს სახელმძღვანელოები და რვეულები უმნიშვნელო რაოდენობით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სახალხო განათლების საოლქო და სარაიონო განყოფილებათა გამგეებმა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) შეამოწმონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აგეგმვის მდგომარეობა (სკოლის წლიური კალენდარული სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმა, მასწავლებლის სამუშაო გეგმები ცალკეულ დისციპლინებში, კლასის ხელმძღვანელთა სააღმზრდელო გეგმები, გაკვეთილების ცხრილი, საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა პირადი საქმეები

და სხვ.) და გაუწიონ სკოლებს ადგილებზე დახმარება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლის მდგომარეობა, გავლილი მასალის შეთვისების ხარისხი, წერითი ნამუშევრების გასწორებისა და წერითი ნორმების შესრულების მდგომარეობა და მასწავლებლებს გაუწიონ მეთოდური დახმარება სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეთა შორეულ ადგილებში სამუშაოზე გაგზავნის პრაქტიკის წინააღმდეგ და აღკვეთონ მოსწავლეთა მიერ უმიზეზოდ გაკვეთილებზე დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები, საჭიროების მიხედვით ეს საკითხი დასვან განსახილველად ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში და შეუქმნან სკოლებს მუშაობისათვის ნორმალური პირობები; დ) შეამოწმონ განათებითა და გათბობით სკოლების უზრუნველყოფის მდგომარეობა და მიიღონ ზომები ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა სარეალიზაციოთ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ნავთით და შეშით მომარაგების შესახებ.

2. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებმა იქონიონ თავიანთ დისციპლინებში წლიური სამუშაო, თემატიკური, კლასის სააღმზრდელო და გაკვეთილების გეგმები და მიიღონ ყოველგვარი ზომები მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის მაღალხარისხოვნად შეთვისებისათვის.

3. რაიონულმა პედკაბინეტებმა გაუწიონ სისტემატური მეთოდური დახმარება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებს საპროგრამო მასალის მაღალხარისხოვნად გავლის საქმეში.

4. წინადადება მიეცეს ცაგერის და ქვემო-სვანეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. სვანიძესა და ონიანს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე და უზრუნველჰყონ ამ სკოლებში გეგმიანობის, სასკოლო დოკუმენტაციისა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება.

5. წინადადება მიეცეს ქვემო-სვანეთის რაიონის ლენტეხის და ცაგერის რაიონის ორბელის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლების დირექტორებს, ამხ. მიხ. მანდარიას და დავ. ნემსიწვერიძეს, მიიღონ გადამჭრელი ზომები აღნიშნული სკო-

ლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უმოკლეს ვადაში გამოსწორების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული

6. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ გაათავისუფლოს სამუშაოდან, როგორც თავისი თანამდებობისათვის შეუფერებელი, რუსული ენის მასწავლებელი ალექსანდრა თევზაძე.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ გაათავისუფლოს სამუშაოდან ქვემო-სვანეთის რაიონის ლენტეხის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მასწავლებელი შალვა კენჭაძე, ამ თანამდებობაზე შესაფერისი მუშაკის დანიშვნით.

ეს ბრძანება განხილულ იქნას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ყველა სკოლის პედსაბჭოზე და დასახულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი სკოლაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 3065

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1947 წლის 27 დეკემბერი.

### რუსული ენის კურსების შესახებ.

რუსული ენის კურსების მუშაობის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და კურსების მუშაობა სათანადო დონეზე დააყენეს. რუსული ენის კურსებისათვის ყველგან შერჩეულია სათანადო ბინები, შესაფერისი ინვენტარით, კურსები უზრუნველყოფილია კვალიფიციური მასწავლებლებით, ხოლო მსმენელები სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით. მოწესრიგებულია აგრეთვე განათებისა და გათბობის საქმე.

მთელ რიგ რაიონებში სახალხო განათლების განყოფილებები ოპერატიულად ხელმძღვანელობენ რუსული ენის კურსების მუშაობას, სისტემატურად ამოწმებენ კურსების მდგომარეობას და იღებენ სათანადო ზომებს კურსების მუშაობის სათანადოდ წარმართვისათვის. რუსული ენის კურსების მასწავლებელთა დიდმა უმეტესობამ თავიდანვე სწორად წარმართა თავისი მუშაობა, ყურადღება ენის პრაქტიკულად შესწავლის ამოცანებზე გაამახვილა, რის შედეგად კურსების მსმენელები საკმაო ინტერესს იჩენენ ენის შესწავლისადმი და განვლილი დროის მანძილზე მათ გარკვეული წინსვლა ემჩნევათ რუსული ენის დაუფლების საქმეში.

მაგრამ ამასთანავე ერთად რუსული ენის კურსების მუშაობას ზოგიერთ რაიონში ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, მიმდინარე წლის ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში დუშეთში არსებული რუსული ენის კურსებზე მეცადინეობა არ წარმოებდა იმ მიზეზით, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით მსმენელები

იმყოფებოდნენ რაიონის სხვადასხვა სოფლებში. ანალოგიური მდგომარეობა იყო თეთრი წყაროს რაიონში, სადაც მსმენელთა დასწრება 40—50 პროცენტს არ აღემატებოდა. სუსტი იყო მსმენელთა დასწრება აგრეთვე ონის, ამბროლაურის, აბაშის, მცხეთის რაიონებში, ქ. ჭიათურაში და სხვა.

ძალზე ცუდია მეცადინეობაზე დასწრება ლანჩხუთის რაიონში. მაგალითად, 1-ლი საფეხურის ჯგუფის 13 მსმენელიდან მეცადინეობას დაესწრო 2 ოქტომბერს 6 კაცი; 6 ოქტომბერს—1 კაცი;8 ოქტომბერს—2 კაცი: 12 ნოემბერსც—1 კაცი; 24 ნოემბერს—4 კაცი 19 დეკემბერს—2 კაცი; და ა. შ. არ არის დაცული მეცადინეობის ცხრილი. მაგალითად, ნოემბერში 12 მეცადინეობის ნაცვლად ჩატარებულია მხოლოდ 6 მეცადინეობა. 8 დეკემბრიდან 19 დეკემბრამდე მეცადინეობა ჯგუფში სრულებით არ ჩატარებულა, მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო სრულებით დეზორგანიზირებულია რუსული ენის კურსების მუშაობა სიღნაღის რაიონში. კურსების მსმენელთა აღრიცხვა მოუწესრიგებელია. პირვანდელი შემადგენლობის 24 მსმენელიდან კურსებზე ითვლება მხოლოდ 14 კაცი, 27 ოქტომბრამდე მთელი თვის განმავლობაში მეცადინეობა კურსებზე არ სწარმოებდა. 17, 24, 28 ნოემბერს და 1 დეკემბერს მეცადინეობა 1-ლ ჯგუფში სრულებით არ ჩატარებულა, ხოლო 1 დეკემბრიდან არც 1-ლ, არც მეორე ჯგუფში მეცადინეობა არ სწარმოებს მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო. დარღვეულია აგრეთვე მეცადინეობის დამტკიცებული ცხრილი: 12 მეცადინეობის ნაცვლად ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით დაგეგმილია 8 მეცადინეობა. სიღნაღის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება საჭირო ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას არ უწევს კურსების მუშაობას.

რუსული ენის კურსების ზოგიერთი მასწავლებლის მუშაობა მეთოდურად სწორად არ იყო წარმართული. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონში არსებული კურსების ერთ ჯგუფში (მასწავ. წილოსანი) მეცადინეობა შემოფარგლულია გაკვეთილის შინაარსის გადმოცემით, გაკვეთილზე არ სწარმოებს წერითი ვარჯიში, სალექსიკონო მუშაობა. წერითი ვარჯიში უგულებელყოფილია აგრეთვე მე-2 ჯგუფშიაც (მასწ. ცინცაძე). თელავის რაიონში არსებულ კურსების ერთერთ ჯგუფში (მასწავლებელი თამაზაშვილი) მსმენელთა შიერ ტექსტის წაკითხვის, კითხვებზე პასუხის ან თხრობის დროს დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი ყოველთვის როდი ამჩნევს და არ ამახვილებს მსმენელთა ყურადღებას ინტონაციაზე სხვადა-

სხვა ხასიათის წინადადებაში, აგრეთვე სიტყვების შეთანხმებაზე
წინადადებაში და სხვა. ამ ჯგუფში მასწავლებელი საკმაო ყურად-
ღებას არ აქცევს პრაქტიკულ ვარჯიშს, რაც ფრიად მნიშვნელოვა-
ნია ცოცხალი სასაუბრო ენის დაუფლებისათვის. ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ენის კურსების მუშაობაში არსებული ნაკლოვანება-
ნი უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ზოგიერთი რაიონის სახალხო
განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებით არ ეკიდება
კურსების მუშაობას და საჭირო ზომებს არ იღებს იმისთვის,რომ
აღმოიფხვრას მეცადინეობის გაცდენები და კურსების მუშაობა შესა-
ფერისად იქნას წარმართული.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლე-
ბის სამინისტროებს, სახალხო განათლების საქალაქო და სარაიონო
განყოფილებათა გამგეებს.

ა) მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნ-
ველჰყონ გაცდენების ლიკვიდაცია რუსული ენის კურსებზე და
კურსების მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა.

ბ) სისტემატურად შეამოწმონ რუსული ენის კურსების მუშაო-
ბა და დაუყონებლივ მიიღონ ზომები გამოვლინებული ნაკლოვანე-
ბათა გამოსასწორებლად.

გ) დასვან სათანადო ორგანოებში საკითხი იმ მსმენელთა შესა-
ხებ, რომლებიც მეცადინეობას რეგულარულად არ ესწრებიან, და
მიიღწიონ საჭირო შედეგებს.

ე) დრო გამოშვებით შეამოწმონ რუსული ენის კურსების მას-
წავლებელთა მუშაობა, მისცენ მათ საჭირო ორგანიზაციული და მე-
თოდური მითითებანი მეცადინეობის უკეთ წარმართვის მიზნით და
შეამოწმონ მიცემულ მითითებათა შესრულება.

ვ) ჩააბან ადგილობრივი მეთოდური კაბინეტები რუსული ენის
კურსების მასწავლებელთადმი დახმარების საქმეში და მოაწყონ
მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება.

2. დაევალოს რუსული ენის კურსების მასწავლებლებს:

ა) განუხრელად იხელმძღვანელონ რუსული ენის კურსებისათ-
ვის სპეციალურად დამუშავებული პროგრამით და მეთოდური მი-
თითებებით და მთელი სასწავლო მუშაობა წარმართონ ამ მითითე-
ბათა შესაბამისად.

ბ) რუსული ენის გაკვეთილებზე ძირითად მეთოდად გამოიყე-
ნონ ცოცხალი საუბარი, გაკვეთილზე აწარმოონ როგორც წერითი,

ისე გრამატიკული ვარჯიში და სალექსიკონო მუშაობა, გრამატიკული კატეგორიების აზრობრივი ფუნქციის ჩვენება და პრაქტიკული გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გულდასმით გაასწორონ მსმენელთა წერითი ნამუშევრები და გაუსწორებლად არ დასტოვონ არც ერთი ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ხასიათის შეცდომა.

დ) სისტემატურად აწარმოონ მსმენელთა დასწრებისა და გავლილი მასალის აღრიცხვა საკლასო ჟურნალებში და გაცდენების შემთხვევებზე დაუყონებლივ აცნობონ სახალხო განათლების განყოფილებას.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ლანჩხუთის რაიონში უკვე გატარებულია ღონისძიებანი რუსული ენის კურსების მუშაობის გარდასაქმნელად.

4. რუსული ენის კურსების მუშაობაზე ცუდი ხელმძღვანელობისა და მუშაობის ჩაშლისათვის გამოძახებულ იქნას კოლეგიაზე სასჯელის დასადებად სიღნაღის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. პ. ნადირაძე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 2 თებერვალი.

## მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში

1.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ერთ-ერთ ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის განვითარება წარმოადგენს. ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ხშირად, გეგმიანად და მომზადებულად ატარებს მასწავლებელი წერით სამუშაოებს და მოსწავლეთა მომზადების შესაბამისად რამდენად მოხერხებულად და მიზანშეწონილად შეარჩევს ის წერითი მუშაობის სახეებს.

მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარების მიზნით აუცილებელია I—II—III კლასებში საკლასო წერითი მუშაობა ტარდებოდეს ყოველდღიურად, მე-4 კლასში—კვირაში სამჯერ, მე-5 კლასში—კვირაში ორჯერ, მე-6-7 კლასებში—კვირაში ერთხელ; მე-8 კლასში—ათ დღეში ერთხელ; მე-9-10 კლასებში—ოც დღეში ერთხელ; მე-11 კლასში—თვეში ერთხელ.

საკლასო წერითი მუშაობის აქ მოცემული რაოდენობა საორიენტაციოა. იგი ითვალისწინებს როგორც სუფთა წერის გაკვეთილებს, ისე საკლასო-სავარჯიშო და საკონტროლო წერით სამუშაოებს.

საკონტროლო სამუშაოს საჭიროება და დრო თვით მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს (გარკვეული თემის დამთავრება და მისი შეთვისების შემოწმება; შემოწმება იმისა, თუ როგორ არის შეთვისებული გრამატიკის ესა თუ ის წესი, როგორ არიან მოსწავლეები დაუფლებული გეგმის შედგენას, გეგმით წერას, შინაარსის წერილობით გადმოცემას, გმირის თავგადასავლის გადმოცემას და სხვა.).

საკონტროლო წერით სამუშაოს შესრულებისას მოსწავლეებისადმი რაიმე დახმარების გაწევა დაუშვებელია.

წერითი მუშაობის ხანგრძლივობა I კლასში არ უნდა აღემატებოდეს 10—15 წუთს, მე-2 კლასში —15—20 წუთს, მე-3 კლასში—20—25 წუთს, მე-4 კლასში—25—35 წუთს (ამაში არ შედის წერისათვის მოსამზადებელი მუშაობა); მე-5-8 კლასებში—45 წუთს (მოსამზადებელი მუშაობით); მე-9-10-11 კლასებში საკლასო წერითი მუშაობისათვის საჭიროების დროს სკოლის დირექტორთან შეთანხმებით უნდა გამოიყოს ორი აკადემიური საათი.

მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ სრულიად საკმარისი არ არის ამა თუ იმ კლასში წერითი მუშაობის ნორმების ფორმალური დაცვა. აუცილებელია თითოეულ კლასში წერითი მუშაობის თითოეული სახე ჩატარდეს იმ რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება ამ კლასის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევების შესათვისებლად. ამიტომ იმ კლასში, სადაც მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა პროგრამულ მოთხოვნებთან შედარებით დაბალია, საჭირო იქნება წერითი მუშაობის მეტი რაოდენობით ჩატარება, ვინემ ზევით არის მითითებული; ამასთანავე ასეთ შემთხვევაში უნდა შეირჩეს წერითი მუშაობის ის სახეები, რომლებიც მეტად უზრუნველჰყოფენ მოცემულ კლასში შემჩნეული დეფექტების გამოსწორებას.

2.

მოსწავლის წერითი მეტყველების გასავითარებლად მნიშვნელობა აქვს წერითი მუშაობის არა მარტო რაოდენობას, არამედ უმთავრესად ხარისხს; ამიტომ თითოეული წერითი სამუშაო, როგორც საკლასო-სავარჯიშო, ისე საშინაო, კარგად უნდა იქნეს მომზადებული. წერითი მუშაობა უნდა ტარდებოდეს თანმიმდევრულად და სისტემატურად. სამუშაოს ხასიათი თანდათანობით უნდა რთულდებოდეს კლასიდან კლასში.

წერითი მუშაობის სახეები უნდა იყოს მრავალფეროვანი და იძლეოდეს სტიმულს მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების გასავითარებლად. საორიენტაციოდ აქ დავასახელებთ წერითი მუშაობის შემდეგ სახეებს:

1. კ ლ ა ს ი: ოთხხაზიან რვეულში ასოების გადაუბმელად ცალკეული ასოებისა და სიტყვების მელნით წერა. სიტყვებისა და მარტივ წინადადებათა გადმოწერა დაფიდან და წიგნიდან; მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა; მარტივი სურათების აღწერა (სა-

ხელმძღვანელოში მოცემული სურათების მიხედვით); კარნახი ცალ-
კეული სიტყვისა ან მარტივი წინადადებისა და სხვ.

მე-2 კ ლ ა ს ი: ცალკეული სიტყვების წერა გადამბული ასოე-
ბით ორხაზიან რვეულებში. წინადადებათა და პატარა მოთხრობა
ლექსების გადმოწერა დაფიდან და წიგნიდან; დაუმთავრებელი წი-
ნადადებების შევსება; კითხვებზე პასუხის გაცემა, დამუშავებულ
პატარა ტექსტის დაფაზე დაწერა, წაკითხვა. შემდეგ მისი წაშლა
(ან დაფარვა) და ხელახლა დაწერა მოგონებით; ნაცნობ სიტყვათა
და მოკლე წინადადებათა კარნახით წერა, დასწავლილ პატარა ლექ-
სის ზეპირად დაწერა. დავალებათა ჩაწერა რვეულებში; დასწავ-
ლილი პატარა ამბის მოკლე შინაარსის დაწერა (კითხვების დახმა-
რებით). მოცემულ სიტყვებზე წინადადების შედგენა და სხვ.

მე-3 კ ლ ა ს ი: დასწავლილ მასალიდან უცნობ სიტყვათა ამო-
წერა და ახსნა-განმარტების მიწერა; მოთხრობის სურათებად დაყო-
ფა და სურათებისათვის სათაურების შერჩევა; დასმულ კითხვაზე
პასუხის გაცემა ტექსტის მიხედვით; პატარა ლექსისა და მოთხრო-
ბის წიგნიდან გადმოწერა; ნაწარმოების მოკლე შინაარსის დაწერა
გეგმის მიხედვით; წერილის მიწერა ამხანაგისადმი, მისამართის
დაწერა კონვერტზე; მარტივი ანკეტის შევსება; პატარა ლექსის
დაწერა ზეპირად; სურათის აღწერა; შემოქმედებითი და თავისუ-
ფალი კარნახი; დეფორმირებული ტექსტების აღდგენა და სხვ.

მე-4 კ ლ ა ს ი: ნასწავლი მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმო-
ცემა; მომქმედ პირთა თავგადასავლის გადმოცემა; თავისუფალი
და შემოქმედებითი კარნახი; კედლის გაზეთისათვის წერილის და-
წერა, მარტივი სახის საქმის ქაღალდები.

თავისთავად იგულისხმება, რომ წინაკლასებისათვის რეკომენ-
დებული წერითი მუშაობის სახეები შეიძლება შემდეგ კლასებშიც
მივცეთ სავარჯიშოდ, თუ ამას მასწავლებელი საჭიროდ დაინახავს

მე-5-8 კლასებში წერითი მუშაობის ძირითად სახეებად უნდა
მივიჩნიოთ: უცნობი სიტყვების შეტანა ლექსიკონში სათანადო
ახსნა-განმარტებითურთ; მარტივი და რთული გეგმის შედგენა;
კითხვებზე მოკლე და გაშლილი პასუხის გაცემა; წაკითხულის
მოკლე და ვრცელი შინაარსის გადმოცემა; ნაწარმოებიდან აღებუ-
ლი ცალკე ეპიზოდის ვრცელი შინაარსის გადმოცემა ავტორის
ლექსიკის გამოყენებით (წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და
გეგმის წინასწარ შეუდგენლად); ნაწარმოების მოქმედ პირთა თავ-
გადასავლის გადმოცემა; ციტატების ამოწერა გარკვეული მიზნით
გრამატიკული და სტილისტიკური ხასიათის სავარჯიშოები გრამა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკისა და პოეტიკის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით; ნაწარმოების მოქმედ პირთა დახასიათება (VI კლასში-წინასწარ შედგენილი კითხვების საშუალებით, მარტივი სახით; უფროს კლასებში-სრული სახით); ნაწარმოების გარჩევა (VIII კლასში); შემოქმედებითი ხასიათის თხზულებანი: ა) შთაბეჭდილებანი მოგზაურობიდან, ბ) რევოლუციური უქმეების დროს მიღებული შთაბეჭდილებანი; გ) შემთხვევები სკოლის ცხოვრებიდან, მოსწავლის ცხოვრებიდან, ექსკურსიების დროს, პიონერ-ბანაკში და სხვ., დ) პირადი შთაბეჭდილებანი ნახულის, გაგონილის თუ წაკითხულის შესახებ, ე) სურათების აღწერა და სხვ.;

საქმის ქაღალდები; თეზისებისა და კონსპექტების შედგენა (VII კლასიდან).

მუშაობის ეს სახეები შეიძლება განმეორებულ იქნას სხვადასხვა კლასში, მაგრამ, ცხადია, უფროს კლასებში მუშაობა ჩატარდება უფრო ძნელ მასალაზე და უფრო რთული ფორმით, ვინემ დაბალ კლასებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას და სხვადასხვა სახის თხზულებების წერას. წერითი მუშაობის ეს სახეები ხშირად უნდა იქნეს გამოყენებული. წერითი მუშაობის ამ სახეებს დღემდე მასწავლებლები მიმართავენ უმთავრესად მხოლოდ საკონტროლო წერის დროს, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით. მთავარი კი ის არის, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა და თხზულების წერა, ამიტომ ეს სახეები გამოყენებული უნდა იქნეს საკლასო-სავარჯიშო და საშინაო წერითი მუშაობის შესასრულებლადაც.

ვრცელი შინაარსის გადმოცემისას მასალად უნდა ავიღოთ ნაწარმოების დამთავრებული ნაწყვეტი ან მცირე მოცულობის მთლიანი ტექსტი, რომელიც სიუჟეტურად იქნება ნათელი, ენობრივად—სწორი და შინაარსობრივად—საინტერესო. ტექსტი, რომლის შინაარსის დაწვრილებით გადმოცემას მოვითხოვთ, არ უნდა იყოს დიდი მოცულობის, V-VI კლასებში შეიძლება იყოს ერთი გვერდი VII-VIII კლასებში—გვერდნახევარი.

დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ ლექსების შინაარსის გადმოცემას: ლირიკული ლექსების შინაარსის გადმოცემა არ შეიძლება; დასაშვებია სიუჟეტიანი ლექსების (იგავები, ბალადები, პოემის ნაწყვეტი და სხვ.) შინაარსის გადმოცემა კარგი ლიტერატურული ენით, სათანადო ციტატების გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხზულებებზე მუშაობა თუმცა მარტივი სახით III კლასიდანვე წარმოებს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მას უნდა მიექცეს VII-VIII კლასებიდან. IX-XI კლასებში კი სხვადასხვა ტიპის თხზულებანი წერითი მუშაობის ძირითად სახედ უნდა ჩაითვალოს. მიზანშეწონილი იქნება მოსწავლეებს მიეცეს წერითი მუშაობის შემდეგი სახეები:

1. ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა.

2. ნაწარმოების რომელიმე ერთი გმირის, ან გმირთა მთელი ჯგუფის დახასიათება („სიმონას დახასიათება", „გლეხთა ტიპები ეგნ. ნინოშვილის შემოქმედებაში"...).

3. ნაწარმოების გარჩევა;

4. მწერლის შემოქმედების ერთი რომელიმე მოტივის ან მთლიანი შემოქმედების ანალიზი.

IX-X-XI კლასებში შეიძლება მივცეთ აგრეთვე ლიტერატურულ პუბლიცისტური ხასიათის, ე. წ. „განყენებული" თემები, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

თხზულებათა თემატიკა და მოცულობა თანდათანობით უნდა რთულდებოდეს.

თხზულებანი მოსწავლეებს დასაწერად უნდა მიეცეს არა მარტო თემის დასასრულს, როგორიცაა საკონტროლო, არამედ თემის დამუშავების პროცესში როგორც სავარჯიშო სამუშაო, რომელიც ავითარებს ამ თუ იმ ჩვევას.

თხზულების წერის სწავლებისას მასწავლებელი მიზნად უნდა ისახავდეს რომ:

1) თხზულების თემის შინაარსი სწორად იყოს გაგებული;

2) თხზულება შესრულებული იყოს გარკვეული გეგმით; გეგმის ცალკეულ ნაწილებს შორის იყოს სწორი პროპორცია და შეთანხმება;

3) წინადადებები და ფრაზები ერთმანეთთან სწორად იყოს დაკავშირებული როგორც გრამატიკულად, ისე ლოგიკურად;

4) მიზანდასახულობა ნათლად გასდევდეს მთელ თხზულებას, ყველა საკითხი თემის მიზანდასახულობის მიზნით შუქდებოდეს, კერძო საკითხზე მსჯელობა არ ფარავდეს მთავარს;

5) თემა ბოლომდე იყოს გაშლილი; თემისათვის გამოყენებული იყოს ძირითადი, დამახასიათებელი მასალა და არა შემთხვევითი;

6) თხზულებაში ჩანდეს დასაბუთების უნარი, არგუმენტებისა და ციტატების სწორად გამოყენების უნარი; ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობის უნარი;

7) თემის განვითარება თანდათან ამზადებდეს ნიადაგს დას-კვნისათვის—დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობდეს თემის მსვლელობიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8) ჩანდეს მოსწავლის კრიტიკული აზროვნება: ადგილი არ ჰქონდეს სახელმძღვანელოებიდან და კრიტიკული წერილებიდან გამოთქმების მექანიკურად გადატანას თხზულებაში;

9) სწორად იყოს გაგებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურულ მოვლენათა ურთიერთობა;

10) თხზულება დაწერილი იყოს სუფთად, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომების გარეშე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერითი სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულებას. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს გადაწერის შემთხვევებს. ნამუშევარი იმ მოსწავლისა, რომელიც შემჩნეულ იქნება გადაწერაში, შეფასებული უნდა იქნეს „ერთით".

III კლასიდან მოსწავლეებს სისტემატურად უნდა ეძლეოდეს საშინაო წერითი სამუშაო.

საშინაო წერითი მუშაობის სახეები ძირითადად იგივე იქნება, რაც საკლასო წერისათვის იყო კლასების მიხედვით გათვალისწინებული.

III—VIII კლასებში საშინაო წერისათვის უნდა მიეცეს ისეთი თემა, რომელიც წინასწარ კლასში საფუძვლიანად იქნება დამუშავებული და მოსწავლეებს ნათლად ექნებათ წარმოდგენილი რა მასალა გამოიყენონ და როგორი თანმიმდევრობით დაამუშაონ თემა. IX—XI კლასებში მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები გააჩნიათ, მაგრამ დახმარება და კონსულტაცია საშინაო წერითი მუშაობის შესრულებაში მასწავლებელმა ამ კლასების მოსწავლეებსაც აუცილებლად უნდა გაუწიოს.

მოსწავლეთა მეტისმეტად დატვირთვა საშინაო წერითი სამუშაოებით დაუშვებელია. საშინაო წერითი მუშაობის რაოდენობა, საორიენტაციოდ, შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

III—IV კლასებში—კვირაში ერთხელ; V კლასში თვეში ხუთჯერ; VI კლასში თვეში ოთხჯერ; VII—VIII კლასებში თვეში სამჯერ.

IX—X კლასის მოსწავლეებს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეთ 4—5 საშინაო წერითი სამუშაო, XI კლასში კი—3.

ამასთან მიზანშეწონილი არ არის XI კლასში წლის მეორე ნახევარში მოსწავლეებისათვის საშინაო წერითი სამუშაოს მიცე-

მა, რამდენადაც ამ პერიოდში მოსწავლეები ძირითადად გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადებით არიან დატვირთულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საკლასო, ისე საშინაო წერითი ნამუშევრები გულდასმით უნდა იქნეს გასწორებული მასწავლებლის მიერ. შეცდომები უნდა იქნეს გაანალიზებული, მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ დაშვებულ შეცდომათა არსში, აუცილებლად გავასწორებინოთ შეცდომები და ჩავატაროთ სათანადო ვარჯიში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი

**უშ. ოზოლაძე**

სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსი

**გრ. ბარამიძე**

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 2 თებერვალი

# მეთოდური მითითებანი საკონტროლო წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ არითმეტიკაში I—IV კლასებში

საკონტროლო წერითი მუშაობის ერთერთ მთავარ მიზანს შეადგენს გამორკვევა, თუ რამდენად დაუფლებია კლასი გავლილ მასალას. ამასთან დაკავშირებით საკონტროლო წერითი მუშაობა უნდა ჩატარდეს პროგრამის რომელიმე თემის ან განყოფილების (მაგალითად, მიმატება და გამოკლება 10-ის ფარგლებში, გამრავლება და გაყოფა 100-ამდე, მრავალნიშნა რიცხვების გამრავლება, ან გაყოფა და სხვა) დამთავრების შემდეგ. საკონტროლო წერითი სამუშაო შეიძლება ჩავატაროთ აგრეთვე მეოთხედის ან სასწავლო წლის ბოლოს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად აუთვისებიათ მეოთხედის ან წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული მასალა.

წერითი სამუშაოს მასალა არ უნდა იყოს ძალიან ადვილი, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ნათელი წარმოდგენა მივიღოთ მოსწავლეთა წარმატების შესახებ; არითმეტიკაში საკონტროლო წერისათვის მოსწავლეებს უნდა მიეცეს ან მაგალითები ან ამოცანები. ამოცანებისა და მაგალითების ერთად მიცემა

დაუშვებელია, რადგანაც ეს იწვევს მოსწავლეთა ყურადღების განაწილებას სხვადასხვა სახის სამუშაოებზე.

საკონტროლო წერითი სამუშაოს თემის შერჩევის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საშუალო მოსწავლეს შესძლებოდეს მისი არა მარტო შესრულება, არამედ შემოწმებაც. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე თითოეული კლასის თავისებურება.

I კლასში ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს მხოლოდ საკლასო-სავარჯიშო სამუშაო და მას ეთმობოდეს 10—15 წუთი. მეორე კლასში პირველ და მეორე მეოთხედში უნდა ტარდებოდეს აგრეთვე ყოველდღიურად მხოლოდ საკლასო სავარჯიშო სამუშაო 15—20 წუთის ხანგრძლივობით. საკონტროლო წერითი სამუშაოს ჩატარება ამ კლასში უნდა დავიწყოთ მესამე მეოთხედიდან. როგორც მეორე კლასში (წლის მესამე და მეოთხე მეოთხედში), ისე მესამე და მეოთხე კლასებში საკონტროლო წერითი სამუშაო უნდა ჩატარდეს კვირაში ერთხელ. მეორე კლასში საკონტროლო წერითი სამუშაოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20—25 წუთს, მესამე კლასში 25—30 წუთს, ხოლო მეოთხე კლასში დასაშვებია მას დავუთმოთ ერთი აკადემიური საათი (მოსამზადებელი მუშაობის ჩათვლით). გარდა საკონტროლო წერითი მუშაობისა II—III—IV კლასებში ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს საკლასო-სავარჯიშო წერითი მუშაობა; აგრეთვე მოსწავლეებს ყოველი გაკვეთილისათვის უნდა მიეცეს წერითი საშინაო დავალება.

2.

მეორე კლასში საკონტროლო წერითი მუშაობისათვის უნდა შეირჩეს 8—10 ერთმოქმედებიანი მაგალითი.

მესამე და მეოთხე კლასში პროგრამით ისწავლება მოქმედებანი მრავალნიშნა რიცხვებზე, მოქმედებები შედგენილ სახელდებულ რიცხვებზე, გეომეტრიული მასალა და სხვა.

მრავალნიშნა რიცხვების შეკრებაზე მაგალითების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემთხვევები, როდესაც: ა) ერთდაიგივე თანრიგის ერთეულების შეკრების დროს მიიღება 10-ის ტოლი ან 10- ზე მეტი რიცხვი; ბ) შესაკრებთა რიცხვი 2-ზე მეტია, გ) შესაკრებთა ნიშნების რიცხვი სხვადასხვაა.

გამოკლებაზე მაგალითების შერჩევის დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ისეთი შემთხვევა, როდესაც: ა) საკლების რომელიმე თანრიგის ერთეულების გამომსახველი ციფრი ნაკლებია მაკლების სათანადო თანრიგის ერთეულების ციფრზე; ბ) საკლებში ერთი ან რამდენიმე ნულია.

გამრავლების მაგალითების შერჩევის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ შემთხვევები, როცა: ა) სამრავლი და მამრავლი ისეთი რიცხვებია, რომლებიც გამოსახულია ნიშნადი ციფრებით: ბ) სამრავლში ან მამრავლში (ან ორივეში ერთად) შუაში ნულებია; გ) სამრავლის ან მამრავლის (ან ორივეს) ბოლოებში ნულებია; დ) ერთ-ერთი თანამამრავლის (ან ორივეს) შუაში და ბოლოში ნულებია.

მესამე და მეოთხე კლასში საკონტროლო წერითი სამუშაოსათვის უნდა შეირჩეს ამოცანები. რომელთა ამოსახსნელად არ არის საჭირო განსაკუთრებული ხერხები, საჭიროა აგრეთვე შეირჩეს ისეთი ამოცანებიც, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებული ხერხებით სარგებლობას (ე. წ. ტიპიური ამოცანები). ამავე კლასებში მოსწავლეებს უნდა მიეცეს აგრეთვე გეომეტრიული სახის ამოცანები (მაგალითად, მართკუთხედისა და კვადრატის ფართობის გამოანგარიშება).

ამოცანების შერჩევის დროს უნდა ავიღოთ ისეთი პირობები, სადაც საჭიროა არითმეტიკული მოქმედების უფრო რთული შემთხვევების გამოყენება, მაგალითად: ა) ისეთი შეკრება, სადაც მაკლებისა და სხვაობის საშუალებით უნდა მოინახოს საკლები, ბ) მოცემული რიცხვის რამდენიმე ერთეულით ან რამდენიმეჯერ გადიდება ან შემცირება; გ) რიცხვის ნაწილის მონახვა და სხვ.

ამოცანების ამოხსნა მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ კითხვების დასმით, ვინაიდან ამ გზით უფრო ადვილად ირკვევა, თუ რამდენად შეგნებულად შეუსრულებია მოსწავლეს ამოცანის ამოხსნა.

საკონტროლო წერითი სამუშაო მოსწავლემ კარგად უნდა გააფორმოს; ა) უნდა იქნეს აღნიშნული რიგითი ნომერი და შესრულების თარიღი; ბ) შრომა უნდა იქნეს დაწერილი სუფთად და კარგი ხელით.

საკონტროლო წერითი ნამუშევარი მასწავლებელმა იმავე დღეს უნდა გაასწოროს და მეორე დღეს დაუბრუნოს მოსწავლეებს; შეცდომები უნდა სწორდებოდეს ხაზის გასმით (დაუშვებელია შეცდომების გადასწორება); მასწავლებელს არც ერთი შეცდომა არ უნდა დარჩეს გაუსწორებელი. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დამოუკიდებელი ჩვევების აღზრდას, მოსწავლეებში. საკონტროლო წერითი მუშაობის დროს დაუშვებელია მოსწავლეებისადმი რაიმე დახმარების გაწევა. წერის დაწყებამდე მასწავლებელმა, საჭირო შემთხვევაში, მთლიანად კლასს უნდა მისცეს ზოგადი მითითება წერითი სამუშაოს შესრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, ხოლო შემდეგ თვალყური ადევნოს, რომ თითოეულმა მოსწავლემ წერითი სამუშაო დამოუკიდებლად შეასრულოს; რომში იმ მოსწავლისა, რომელიც შემჩნეულ იქნება გადაწერაში შეფასებული უნდა იქნეს „ერთით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მოეთხოვოს შეცდომების გასწორება. საკონტროლო წერითი სამუშაოს რვეულები უნდა ინახებოდეს სასწავლებელში.

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი
უშ. იბოლაძე

სასწავლო- მეთოდური განყოფილების უფროსი
გრ. ბარამიძე

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე.
1948 წ. 2 თებერვალი.

## მეთოდური მითითებანი საკონტროლო წერითი მუშაობის რაოდენობისა და სახეების შესახებ მათემატიკაში V—XI კლასებში

საკონტროლო წერითი სამუშაოს ორგანიზაციასა და შინაარს, ნამუშევრების გულდასმით გასწორებას, ახსნა-განმარტების ჩატარებას რვეულების დაბრუნების დროს და მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომების გასწორებას დიდი მნიშვნელობა აქვს; ამიტომ საჭიროა ამ საკითხის საფუძვლიანად განხილვა და ამ მხრივ სრული გარკვეულობის შეტანა სკოლის მუშაობაში.

V კ ლ ა ს ი. მეხუთე კლასში არითმეტიკას დათმობილი აქვს 6 საათი კვირაში. საკონტროლო წერითი სამუშაო უნდა ჩატარდეს მეოთხედში არა ნაკლებ ხუთისა. მეხუთე კლასის არითმეტიკის პროგრამა ითვალისწინებს დაწყებით სკოლაში გავლილი მასალის განმეორებას რიცხვთა გაყოფადობას, ჩვეულებრივ წილადებს, ათწილადებს და გეომეტრიულ მასალას. საკონტროლო სამუშაოები უმთავრესად ამ მასალებიდან უნდა შეირჩეს: 1) ამოცანა მთელ რიცხვებზე; 2) გეომეტრიული შინაარსის ამოცანა ფართობისა და მოცულობის გამოანგარიშებაზე; 3) რიცხვების მარტივ თანამამრავლებად დაშლა; 4) უმცირესი საერთო ჯერადის და უდიდესი საერთო გამყოფის პოვნა; 5) ჩვეულებრივი წილადები; 6)

ათწილადები; 7) ერთდროულად ჩვეულებრივი წილადების და ათწილადების გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI კ ლ ა ს ი. ამ კლასში არითმეტიკას დათმობილი აქვს ო[illegible]რეული საათი, ხოლო ალგებრას—3 საათი. ამ კლასში მეოთხედის მანძილზე უნდა ჩატარდეს 2 საკონტროლო სამუშაო არითმეტიკაში, ხოლო 3—ალგებრაში. VI კლასში წერითი სამუშაოს სახეები იქნება: 1) ამოცანები პროპორციებზე; 2) ამოცანები პროცენტებზე; 3) ამოცანები მოცემული რიცხვების პირდაპირ და უკუპროპორციულ ნაწილებად დაყოფაზე; 4) საერთო სახის ამოცანა ყველა განყოფილებიდან.

მეექვსე კლასში იწყება ალგებრის სწავლება. მოსწავლეებს უძნელდებათ არითმეტიკიდან ალგებრაზე გადასვლა, შეფარდებით რიცხვებზე მოქმედების წარმოება, შემოკლებითი გამრავლების ფორმულებით სარგებლობა. მოსწავლეებს საკონტროლო სამუშაო უნდა მიეცეს: 1) ასოითი გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის გამოანგარიშებაზე (მონაცემები უნდა იყოს წილადიანი და შეფარდებითი რიცხვები); 2) უმარტივეს განტოლებათა ამოხსნაზე არითმეტიკულ მოქმედებათა განსაზღვრებისა და თვისებათა გამოყენებით; 3) შეფარდებით რიცხვებზე მოქმედებების შესრულებაზე; 4) განტოლების ამოხსნაზე შეფარდებითი რიცხვების გამოყენებით არითმეტიკულ მოქმედებათა განსაზღვრებებისა და თვისებების მიხედვით; 5) მრავალწევრის ერთწევრზე გამრავლებაზე; 6) მრავალწევრის ფრჩხილებში ჩასმაზე და ფრჩხილების გახსნაზე; 7) მაგალითები შემოკლებითი გამრავლების ფორმულებზე.

VII კ ლ ა ს ი. მეშვიდე კლასში 3 საათი აქვს დათმობილი ალგებრას და 3 საათი-გეომეტრიას. მეოთხედში უნდა ჩავატაროდ 5 საკონტროლო წერა მაინც (აქედან 3-4 ალგებრაში, ხოლო 2-1 გეომეტრიაში). წერითი სამუშაოს სახეებია: 1) მაგალითები შემოკლებითი გამრავლების ფორმულებზე; 2) მრავალწევრთა გამრავლება და გაყოფა; (3 მრავალწევრთა მარტივ თანამამრავლებად დაშლა; 4) უდიდესი საერთო გამყოფისა და უმცირესი საერთო ჯერადის პოვნა; 5) ალგებრული წილადები და 6) პროპორციები.

ამ კლასში უნდა ვერიდოთ გეომეტრიაში რთული ამოცანების მიცემას: უნდა მივცეთ მარტივი ამოცანები იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეითვისა კლასმა გავლილი მასალა; მაგალითად, მოსაზღვრე კუთხეები, სამკუთხედის გვერდებს შორის დამოკიდებულება, სამკუთხედის კუთხეების ჯამი სამკუთხედებზე სხვადასხვა ამოცანის ამოხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე და მერვე კლასებში დაუშვებელია საკონტროლო სამუშაოსათვის მივცეთ ამა თუ იმ თეორემის დამტკიცება.

VIII კ ლ ა ს ი. მერვე კლასში ალგებრას და გეომეტრიას კვირაში დათმობილი აქვს ორ- ორი საათი. ალგებრაში მეოთხედის მანძილზე უნდა ჩავატაროთ 3 საკონტროლო წერა, ხოლო გეომეტრიაში ერთი მერვე კლასის ალგებრის კურსეში უმთავრესი ადგილი უჭირავს პირველი ხარისხის ერთუცნობიან და პირველი ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა სისტემის ამოხსნას. საკონტროლო წერაც ამის მიხედვით უნდა შეირჩეს; წერითი სამუშაოს სახეები იქნება: 1) რიცხვითი კოეფიციენტებიანი პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნა; 2) ასოითი კოეფიციენტებიანი პირველი ხარისხის ერთუცმობიანი განტოლების ამოხსნა; 3) პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების შედგენა ამოცანის პირობის მიხედვით; 4) პირველი ხარისხის რიცხვითი კოეფიციენტების ორუცნობიან განტოლებათა სისტემის ამოხსნა; 5) პირველი ხარისხის ასოითი კოეფიციენტებიანი ორუცნობიანი განტოლებათა სისტემის ამოხსნა; 6) პირველი ხარისხის ორუცნობიანი განტოლებათა სისტემის შედგენა და ამოხსნა, 7) სამუცნობიანი განტოლებათა სისტემის ამოხსნა.

გეომეტრიაში უნდა შეირჩეს ამოცანები გამოანგარიშებაზე ან მარტივი ამოცანა აგებაზე.

XI კ ლ ა ს ი. ამ კლასში მათემატიკას დათმობილი აქვს 6 საათი. საკონტროლო წერა უნდა ჩატარდეს მეოთხედში არა ნაკლებ ხუთისა; 3-4 ალგებრაში, 2-1 გეომეტრიაში, საკონტროლო სამუშაო უნდა მიცეს: 1) ხარისხებზე და ფესვებზე, 2) კვადრატული განტოლებაზე; 3) უმაღლესი ხარისხის განტოლებაზე, რომელიც კვადრატულ განტოლებაზე დაიყვანება; 4) მეორე ხარისხის ორუცნობიანი განტოლებათა სისტემაზე.

გეომეტრიაში უნდა მიეცეს ისეთი ამოცანები, რომელთა ამოსახსნელად საჭირო იქნება კვადრატული განტოლების გამოყენება.

X კლასი. მეათე კლასში ისწავლება ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია. სამივე საგანს გეგმით კვირაში დათმობილი აქვს 5 საათი. საკონტროლო წერა უნდა ჩატარდეს სამივე საგანში; მეოთხედში ალგებრასა და ტრიგონომეტრიაში უნდა ჩატარდეს ორ-ორი საკონტროლო სამუშაო. უნდა მიეცეს: 1) პროგრესიებზე, 2) ხარისხის მაჩვენებლის ცნების განზოგადებაზე; 3) ლოგარითმებზე, 4)

მაჩვენებლიანი და ლოგარითმული განტოლების ამოხსნაზე, 5) რთულ პროცენტებზე.

ტრიგონომეტრიაში მეცხრე კლასში უმთავრესად ისწავლება გონიომეტრია. საკონტროლო სამუშაოები უნდა ჩავატაროთ. 1) ძირითად ფორმულებზე; 2) ტრიგონომეტრიული იგივეობის დამტკიცებაზე ძირითადი ფორმულების გამოყენებით; 3) დაყვანის ფორმულებზე, 4) იგივეობის დამტკიცებაზე ორმაგი კუთხისა და ნახევარკუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოყენებით; 5) ტრიგონომეტრიული ფუნქციების ჯამისა და სხვაობის ნამრავლად გარდაქმნაზე; 6) მართკუთხა სამკუთხედების ამოხსნაზე ლოგარითმების ტაბულების დახმარებით.

გეომეტრიაში უნდა შეირჩეს ამოცანები წესიერ მრავალკუთხედებზე, წრის ფართობის გამოანგარიშებაზე სტერეომეტრიიდან კი-სწორხაზებზე და სიბრტყეებზე.

XI კლასი. მეთერთმეტე კლასში მეოთხედში უნდა ჩატარდეს არანაკლებ ექვსი საკონტროლო წერითი მუშაობა. ამ კლასში დასაშვებია ორსაათიანი (აკადემიური) წერითი მუშაობის ჩატარება, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში. ალგებრაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამოცანების ამოხსნას განტოლების შედგენით. უნდა შეირჩეს საკონტროლო სამუშაოები: 1) კვადრატულ განტოლებაზე; 2) მეორე ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა სისტემაზე; 3) პროგრესიებზე. 4) უმაღლესი ხარისხის განტოლებაზე ,5) შეერთებებზე და ნიუტონის ბინომზე; 6) ლოგარითმულ და მაჩვენებლიან განტოლებაზე.

გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში უნდა მოეწყოს წერითი საკონტროლო სამუშაო: 1) ტრიგონომეტრიულ განტოლებაზე; 2) მართკუთხა სამკუთხედის ამოხსნის კერძო შემთხვევებზე; 3) მრავალწახნაგა და მრგვალი სხეულების პირეულისა და მოცულობის გამოანგარიშებაზე 4) წმინდა გეომეტრიული ამოცანები; 5) გეომეტრიული ამოცანების ამოხსნაზე ტრიგონომეტრიის გამოყენებით (სხეულის პირეულის და მოცულობის გამოანგარიშება, ბრუნვითი ტანის პირეულისა და მოცულობის გამოანგარიშება).

ამ მითითებებში მოცემული საკონტროლო წერითი სამუშაოს რაოდენობა თითოეული კლასის მიხედვით აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. რაც შეეხება წერითი სამუშაოს თემატიკას, აქ შესაძლებელია მასწავლებელმა სხვა სახის სამუშაოც მისცეს მოსწავლეებს; მითითებაში გათვალისწინებულ ზოგიერთ თემაზე, რასაკვირველია, უნდა ჩატარდეს რამდენიმე წერითი მუშაობა. მაგ. მე-9 კლას-

ში კვადრატულ განტოლებაზე უნდა ჩატარდეს 3-4 წერითი მუშაობა; უმაღლესი ხარისხის განტოლებაზე-სამი წერითი მუშაობა და ა. შ.; საკონტროლო წერითი მუშაობის საერთო რიცხვი კი ამ კლასში უნდა იყოს არა ნაკლებ 20-სა (ალგებრასა და გეომეტრიაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

გარდა საკონტროლო წერითი მუშაობისა სკოლაში უნდა ტარდებოდეს საკლასო-სავარჯიშო სამუშაოები და მოსწავლეებს უნდა ეძლეოდეს წერითი საშინაო დავალებები. საკლასო-სავარჯიშო სამუშაო ტარდება რომელიმე წესის ან თეორემის დამტკიცებისა და სათანადო მუშაობის ჩატარების შემდეგ ცოდნა-ჩვევათა განმტკიცების მიზნით და იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შეითვისა კლასმა ახლად დამუშავებული მასალა, რომელი მოსწავლე რა სახის დაბრკოლებას განიცდის და სხვ. საშინაო დავალების მიცემა მიზნად ისახავს მოსწავლეებმა დამოუკიდებლად ამოხსნან ამოცანები და მაგალითები იმ თეორიული მასალის გასამტკიცებლად, რაც კლასში იყო დამუშავებული. ამ სახის დავალება უნდა ეძლეოდეს მოსწავლეებს ყოველ გაკვეთილზე. საშინაო დავალების შესრულება აუცილებლად უნდა შეამოწმოს მასწავლებელმა: მან უნდა ჩამოიაროს კლასში და გასინჯოს რვეულები; შეიძლება ერთმა მოსწავლემ წაიკითხოს ამოცანის ან მაგალითის ამოხსნა; სხვებმა კი თავისი ნამუშევრები შეამოწმონ. თუ გამოირკვა, რომ ესა თუ ის მაგალითი არ არის კლასის მიერ სწორად ამოხსნილი, საჭიროა ამ მაგალითის (ამოცანის)დაფაზე გამოყვანა. საშინაო დავალებები და საკლასო-სავარჯიშო სამუშაოები ერთ რვეულში უნდა იწერებოდეს. მასწავლებელმა კვირაში ერთხელ მაინც უნდა წაიღოს ეს რვეულები და გაასწოროს

მასწავლებელმა გასწორებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები წერითი სამუშაოს შესრულების შემდეგ არა უგვიანეს 2—3 დღისა უნდა დაუბრუნოს მოსწავლეებს. ნამუშევარი უნდა იყოს მასწავლებლის მიერ შეფასებული და ხელმოწერილი; საჭიროა აგრეთვე გასწორების თარიღის აღნიშვნა. ნამუშევრები უნდა გასწორდეს გულდასმით; შეცდომები უნდა აღინიშნოს ხაზის გასმით: მიუღებელია შეცდომების გადასწორება. დაუშვებელია მასწავლებლის მიერ შეცდომების გამოტოვება.

მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას მოსწავლეებში; საკონტროლო წერის დროს დაუშვებელია მოსწავლეებისადმი რაიმე დახმარების გაწევა. წერის დაწყებამდე საჭირო შემთხვევაში მას-

წავლებელმა მთლიანად კლასს უნდა მისცეს ზოგადი მითითება წერითი სამუშაოს შესრულების შესახებ, ხოლო შემდეგ თვალყური ადევნოს, რომ თითეულმა მოსწავლემ წერითი სამუშაო დამოუკიდებლად შეასრულოს. იმ მოსწავლის ნაშრომი, რომელიც შემჩნეული იქნება გადაწერაში, შეფასებულ უნდა იქნას „ერთით“.

წერითი საკონტროლო ნამუშევრების საშუალებით მასწავლებელი არკვევს, თუ რამდენად შეთვისებულია კლასის მიერ დამუშავებული მასალა. თუ კლასის უმრავლესობამ ვერ დაძლია სამუშაო, ეს იმის მაჩვენებელია, რომ საჭიროა კიდევ განვლილ საკითხებზე შეჩერება. ნამუშევრების დაბრუნების დროს მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს კლასთან საუბარი დაშვებულ ტიპიურ შეცდომებზე, და საჭირო შემთხვევაში, ცალკეულ მოსწავლეს მისცეს შესაფერი განმარტებანი მის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ.

მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მოეთხოვოს შეცდომების გასწორება.

საკონტროლო წერითი სამუშაოს რვეულები, როგორც წესი, უნდა ინახებოდეს სასწავლებელში.

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უფროსი

უშ. თაბულაძე

სასწავლო-მეთოდური განყოფილების უფროსი

გრ. ბარამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წ. 15 ივლისის
№ 720 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პედაგოგიური სასწავლებლის წესდება

## თავი 1. ზოგადი ნაწილი

§ 1.

პედაგოგიური სასწავლებელი არის საშუალო სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლო დაწესებულება, ექვემდებარება განათლების სამინისტროს და იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე.

§ 2.

პედაგოგიური სასწავლებლის ძირითადი ამოცანაა მოამზადოს საბჭოთა სამშობლოსათვის დაწყებითი სკოლის თავდადებული, განათლებული, კულტურული მასწავლებელი, რომელიც კარგად იქნება დაუფლებული პედაგოგიური მუშაობის ცოდნა-ჩვევებს.

§ 3

საქართველოს სსრ პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით.

§4.

პედაგოგიურ სასწავლებელში მიიღება ყველა მოქალაქე, ქალები და ვაჟები, 14-დან 22 წლის ასაკამდის, რომელთაც დასრულებული აქვთ რვაწლიანი სკოლა და სურვილი აქვთ გახდნენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლები.

§ 5.

პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლება მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე.

§ 6.

პედაგოგიურ სასწავლებელთან პედსასწავლებლის მოსწავლეთა პედაგოგიური პრაქტიკისათვის არსებობს დაწყებითი სკოლა, რომელიც იმყოფება პედაგოგიური სასწავლებლის ბიუჯეტზე. დაწყებითი სკოლა მუშაობს საქართველოს სსრ სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე.

§ 7.

პედაგოგიურ სასწავლებლის მოსწავლეთათვის არსდება საერთო საცხოვრებელი ან ინტერნატი, რომელიც მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დებულების საფუძველზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 8.

პედაგოგიურ სასწავლებელს აქვს დამხმარე მეურნეობა და სასადილო.

§9

პედაგოგიური სასწავლებლის გახსნა და დახურვა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

§ 10

პედაგოგიურ სასწავლებელს სახელწოდება ეძლევა იმ ქალაქის ან დაბის სახელწოდების მიხედვით, სადაც იგი იმყოფება.

## თავი II. სასწავლო ნაწილი

§11.

პედაგოგიურ სასწავლებელში ასწავლიან შემდეგ საგნებს: მშობლიურ ენას და მშობლიური ენის მეთოდიკას, ქართულ ენასა და ქართული ენის მეთოდიკას (არაქართულ პედსასწავლებლებში), რუსულ ენასა და რუსული ენის მეთოდიკას (არა რუსულ პედსასწავლებლებში) მშობლიურ ლიტერატურას, მათემატიკას, არითმეტიკის მეთოდიკას, ისტორიას და ისტორიის მეთოდიკას, გეოგრაფიას და გეოგრაფიის მეთოდიკას, ბუნებისმეტყველობასა და ბუნებისმეტყველების მეთოდიკას, ქიმიას, ფიზიკას, კონსტიტუციას, სუფთა წერას, ერთერთ უცხო ენას, პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას, ლოგიკას, სასკოლო ჰიგიენას, ხატვას მეთოდიკით, სიმღერა-მუსიკას მეთოდიკით, სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას და ფიზიკურ აღზრდის მეთოდიკას.

§ 12.

პედაგოგიურ სასწავლებლის მოსწავლენი, ამასთან ერთად გადიან პედპრაქტიკის სავალდებულო კურსს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით.

§ 13

იმ მიზნით, რომ მომავალში მასწავლებელმა შესძლოს სიმღერისა და მოძრავი თამაშობების სწავლება დაწყებით სკოლაში, პედაგოგიურ სასწავლებელში ასწავლიან მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (ვიოლინო, როიალი) დაკვრას.

§ 14

სასწავლო მუშაობის ძირითადი ფორმა პედაგოგიურ სასწავლებელში არის გაკვეთილი, რომელსაც ატარებს მასწავლებელი ცალკეულ კურსთან მეცადინეობის ზუსტად განსაზღვრული ცხრილითა და მოსწავლეთა მუდმივი შემადგენლობით.

§ 15.

პედაგოგიურ სასწავლებელში ხდება სწავლა-აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც მტკიცე და სისტემატურ ცოდნას აძლევენ მოსწავლეებს, ავითარებენ აქტივობას უნერგავენ მათ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს და ხელს უწყობენ დაწყებით სკოლის მასწავლებელთათვის საჭირო ცოდნა-ჩვევათა განვითარებას.

§ 16.

პედაგოგიურ სასწავლებელს აქვს პედაგოგიკის, ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ისტორიისა, ქიმიისა და გეოგრაფიის, ხატვის, მუსიკისა და სიმღერის, სამხედრო ფიზკულტურული საქმის კაბინეტები; ფიზკულტურული დარბაზი, სასპორტო მოედანი, სახელოსნოები ხეზე, ლითონზე, მუყაოზე სამუშაოდ, დაწყებითი სკოლისათვის დიდაქტიკური მასალის დასამზადებლად და მიწის ნაკვეთი-ლაკვირვებისა და ცდების მოსახდენად.

§ 17.

პედაგოგიურ სასწავლებელს აქვს ბიბლიოთეკა, ყველა საჭირო წიგნებით და სამკითხველო დარბაზი.

§ 18.

სასწავლო წელი პედაგოგიურ სასწავლებელში იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება 30 ივნისს.

§ 19.

ზამთრის არდადეგები იწყება 28 იანვრიდან და მთავრდება 10 თებერვალს, ზაფხულის არდადეგები იწყება სასწავლო წლის დამთავრებიდან და გრძელდება ახალ სასწავლო წლამდის, ე. ი. 1 სექტემბრამდის.

§ 20.

სასწავლო წელი იყოფა სემესტრებად: პირველი სემესტრი იწყება 1 სექტემბრიდან და გრძელდება 28 იანვრამდე, მეორე სემესტრი იწყება 11 თებერვლიდან და გრძელდება სასწავლო წლის ბოლომდე.

§ 21.

გაკვეთილების გადაცემა პედსასწავლებელში ხდება მტკიცე ცხრილის მიხედვით, რომელიც დგება სასწავლო გეგმის საფუძველზე.

§ 22.

გაკვეთილების ხანგრძლივობა პედაგოგიურ სასწავლებელში განისაზღვრება 45 წუთით, დასვენება 10 წუთით გარდა მესამე გაკ-

ვეთილის შემდეგი დასვენებისა, რომლის ხანგრძლივობა უდრის 30 წუთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 23.

თითოეულ კურსზე პედაგოგიურ სასწავლებელში უნდა ირიცხებოდეს 30 მოსწავლე.

**შენიშვნა:** პრაქტიკული მეცადინეობისათვის (სახელოსნოებში, ბაღში და სხვა) კურსი შეიძლება გაიყოს ორად, თითოეულმა ჯგუფმა იმუშაოს ცალცალკე.

§ 24.

პედაგოგიურ სასწავლებლის მოსწავლის აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასება სწარმოებს ხუთბალიანი სისტემით: „5, 4, 3, 2, 1“, ასევე პედაგოგიურ პრაქტიკაში წარმატება ფასდება ხუთბალიანი სისტემით. თითოეულ პრაქტიკულ გაკვეთილის ან სხვა სახის პრაქტიკული მუშაობის შეფასებას იძლევა მასწავლებელი, რომელმაც მოამზადა და ჩაატარა საცდელი გაკვეთილი ან მეცადინეობა.

მოსწავლე შეფასებას ყოფაქცევაში ღებულობს იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევა ის სასწავლებელში, საერთო საცხოვრებელში და სკოლის-გარეთ საზოგადოებაში.

§ 25.

პედაგოგიური სასწავლებლის I, II და III კურსის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს აბარებენ გადასაყვან გამოცდებს, ხოლო მე-4 კურსის მოსწავლეები სახელმწიფო გამოსაშვებ გამოცდებს. გამოცდების ჩაბარების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

§ 26.

მოსწავლე, რომელიც 3-სა და მეტ საგანში მიიღებს წლიურ შეფასებას „2“ ან „1“ დატოვებული იქნება იმავე კურსზე მეორე წელს. მოსწავლე, რომელსაც ორზე მეტ საგანში არა აქვს წლიური ნიშანი „2“ ან „1“, პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით შეიძლება დაშვებულ იქნას საზაფხულო გამოცდებზე სხვა საგნებში, ხოლო იმ ორ საგანში, რომელშიაც აქვს წლიური ნიშანი „2“ ან „1“, გამოცდას აბარებს შემოდგომაზე.

§ 27.

საშემოდგომო გამოცდები პედაგოგიურ სასწავლებელში ტარდება 15-დან 28 აგვისტომდე.

§ 28.

მოსწავლე, რომელიც საშემოდგომო გამოცდებზე თუგინდ ერთ საგანში მიიღებს „2" ან „1", რჩება მეორე წელს იმავე კურსზე; მოსწავლის კურსიდან კურსზე პირობით გადაყვანა არ შეიძლება, მესამე წელს იმავე კურსზე მოსწავლის დატოვება პედაგოგიურ სასწავლებელში დაუშვებელია.

§ 29.

მოსწავლეს, რომელმაც დაასრულა პადაგოგიური სასწავლებელი, ეძლევა დიპლომი დირექტორისა და მასწავლებელთა ხელისმოწერით. მას ენიჭება დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება და ეძლევა პედაგოგიურ ასპარეზზე მუშაობის უფლება მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით, მას უფლება აქვს აგრეთვე დაწყებით სკოლაში სამი წლის სავალდებულო პედაგოგიური მუშაობის შემდეგ შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში.

§ 30.

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ პედსასწავლებელში ეწყობა საზეიმო აქტი პედაგოგებისა, მშობლებისა და პარტიული, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით, დირექტორი აკეთებს საანგარიშო მოხსენებას წლიური მუშაობის შესახებ და კურსდამთავრებულებს აძლევენ დიპლომებს: განსაკუთრებული წარჩინების მქონე კურსდამთავრებულებს დიპლომებთან ერთად ეძლევათ ქების სიგელები, წიგნები და სხვა.

## თავი III. თანამდებობითი პირები და მათი უფლება-მოვალეობანი

§ 31.

პედაგოგიური სასწავლებლის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ისეთ პირთაგან, რომელთაც დამთავრებული აქვთ პედაგოგიური ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი, იცნობენ დაწყებით სკოლას და აქვთ პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა. დირექტორი უნდა ასწავლიდეს ერთ-ერთ ძირითად საგანს (უპირატესად პედაგოგიკას) და მისი დღიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 2 გაკვეთილს.

§ 32.

დირექტორი ხელმძღვანელობს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას მთელ პედაგოგიურ სასწავლებელში. იგი პასუხისმგებელია

ყოველი მოსწავლის წარმატებისა და ყოფაქცევისათვის, საერთო ხელმძღვანელობას უწევს პედაგოგიურ პრაქტიკას და მეთოდურ მუშაობას პედაგოგიურ სასწავლებელში და მასთან არსებულ დაწყებითს სკოლაში. დირექტორი კონტროლს უწევს მასწავლებელთა მუშაობას. თავმჯდომარეობს პედაგოგიურ საბჭოს სხდომებს, ხელმძღვანელობს პედსასწავლებლის მეურნეობას და ფინანსებს; პასუხისმგებელია პედაგოგიური სასწავლებლის შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და ინსტრუქციების ზუსტად და დროულად შესრულებისათვის და საანგარიშო მოხსენებებს უდგენს განათლების სამინისტროს მიღებული წესის მიხედვით.

დირექტორი ამყარებს კავშირს პედსასწავლებლის კურსდამთავრებულებთან და უწევს მათ მეთოდურ დახმარებას შესაძლებლობის ფარგლებში.

დირექტორი მთელი თავისი პედაგოგიური საქმიანობით, თავისი მოვალეობის ზუსტი და მტკიცე შესრულებით და ამასთან პირადი საქციელით უნდა იყოს სამაგალითო მასწავლებლისა და მოსწავლეთათვის.

§ 33.

პედაგოგიურ სასწავლებლის დირექტორს უფლება ეძლევა:

1. განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით წარუდგინოს განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად კანდიდატურა თავისი მოადგილისა სასწავლო ნაწილში და მასწავლებლებისა, აგრეთვე წარუდგინოს მოსახსნელად ის პირები, რომლებიც არ შეეფერებიან დანიშნულებას.

2. წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს დასაჯილდოებლად ის მასწავლებლები, რომლებიც გაირჩევიან განსაკუთრებული მუშაობით.

3. გამოიყენოს ადმინისტრაციული სასჯელი იმ მასწავლებელთა და თანამშრომელთა მიმართ, რომლებთაც დაარღვიეს შრომის დისციპლინა ან არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა.

4. გარიცხოს პედაგოგიურ სასწავლებლიდან მოსწავლე, რომელიც აკადემიურად ჩამორჩება ან თავისი ყოფაქცევით შეუფერებელია მომავალში ატაროს მასწავლებლის წოდება.

5. დანიშნოს სამუშაოზე და ან მოხსნას ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

6. დირექტორი სარგებლობს ყველა უფლებითა და შეღავათით, რაც დაწესებულია პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელთათ-

ვის (უფლება პენსიაზე, ყოველწლიურ ორთვიანი შვებულება ხელფასის შენახვით და სხვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაბა-სოფლებში არსებული პედაგოგიური სასწავლებლების დირექტორი სარგებლობს უფასო კომუნალური მომსახურეობით (ბინით, შუქით, და გათბობით).

8. საჭიროების მიხედვით, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დირექტორს ეძლევა სათანადო მივლინებანი.

9. დირექტორი არის პედაგოგიური სასწავლებლის სახსრების განმკარგულებელი.

§ 34.

პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის განკარგულება სავალდებულოა პედაგოგიური სასწავლებლის ყველა თანამშრომლისათვის.

## თავი IV. პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში

§ 35.

დირექტორის მოადგილეს სასწავლო ნაწილში ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ან შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება, პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის წარდგენით.

დირექტორის მოადგილეს სასწავლო ნაწილში უნდა ჰქონდეს დამთავრებული პედაგოგიური ინსტიტუტი ან უნივერსიტეტი, უნდა იცნობდეს დაწყებით სკოლას და ჰქონდეს პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 10 წლისა.

დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში ვალდებულია ასწავლიდეს ერთ-ერთ საგანს. მისი დღიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 2 გაკვეთილს.

§ 36.

